# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmall.com

№14 (9367) | 30 ივლისი. 2022 წელი | ფასი 75 თეთრი


2 **მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელ პროექტებს საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს**

**მეთორმეტე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ოქტომბერში დასრულდება**



3

**რიგგარეშე სხდომა რიგიანი სჯა-ბაასის ფონზე**



2

6 **ქორეოგრაფიულ ანსამბლ "იმერს" მალე ვარსკვლავს გაუხსნიან**



7 **უპირველესად ებრაული, შემდეგ კი ქართული ტრადიციების შემნახავი**

5 **სოფიკო ტერელაძე: "ჭადრაკი მთელი ჩემი ცხოვრებაა"**



**ნინო სტურუა: ჩემთვის ეს არის დამატებითი მოტივაცია და პასუხისმგებლობა**



4

**მარიამ თევზაძემ ჩემპიონობა ორი ტურით ადრე გაინაღდა**



10

10 **ბათუმში "სამტრედიამ" სამტრედია ასახელა**

# მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელ პროექტებს საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს



იმერეთის რეგიონში დამატებით 32 000 000 ლარის ღირებულების 100-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაცია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მუნიციპალიტეტების მერებს ონლაინ რეჟიმში მიაწოდა.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე იმ პროექტების შესახებ იმსჯელეს, რომლებიც 12-ვე მუნიციპალიტეტში დამატებით რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდება. ასევე, ონლაინ შეხვედრაზე იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ რეგიონში მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა და ამ მიმართულებით მერებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მუნიციპალიტეტების (სამტრედია, ხონი, ტყიბული, ხარაგაული) მერებმა რეგიონული განვითარების ფონდში წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ იმსჯელეს.

ზემოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელ პროექტებს საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

ნინო ნანიტაშვილი

# რიგგარეშე სხდომა რიგიანი სჯა-ბაასის ფონზე



ლევან ბაბუჩავა

რიგგარეშე სხდომა გამართა 20 ივლისს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ტრადიციულად ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. დამტკიცდა დღის წესრიგი:

"... რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 19 პროექტის მოწონების შესახებ".

"2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ". სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ტარიელ ცომაიამ მოახსენა.

უჩვეულო არაფერია, პოზიცია-ოპოზიციას შორის ცხარე დებატები მთელმა რიგმა საკითხებმა გამოიწვია, მთავარი ჩვენი აზრით, №4 (ყოფილი რუსული) საჯარო სკოლის ირგვლივ აგორებული მითქმა-მოთქმაა, რომლის თაობაზეც ბატონმა ავთანდილ თადუმაძემ ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") გაამახვილა ყურადღება. რა ბედი ეწევა სკოლას? ასე შეიძლება გადმოვცეთ ბატონი ავთანდილის შეკითხვის შინაარსი, რომელიც მართლაც აინტერესებს საზოგადოებას.

იმ ადგილზე ისევ სკოლა აშენდება, ეჭვები უსაფუძვლოა, – იყო პასუხი.

საკუთარი სოფლის, ამომრჩევლის ჭირისუფლობა ჩანდა კიდევ ერთი ოპოზიციონერის, ბატონი გიგი ჯულაყიძის (პარტია "ლელო საქართველოსთვის") გამოსვლაში.

უდავოდ სასიამოვნოა ერთი ფაქტი, 20 ივლისის სხდომაზე კონკრეტულ საკითხებზე კითხვის დამსმელნი და მოპასუხენი, ანუ პოზიცია-ოპოზიცია თავიდვე შეჯერდნენ, რომ სადავო საკითხების განხილვისას იყვნენ მეტად ყურადღებიანი, ობიექტურები და აქ ჩვენ, (მე) დავამატებ, სასურველია მეტად არაიმპულსურები.

სხვა მხრივ პოზიცია-ოპოზიციას შორის კამათი პოლიტიკოსთვის არაა უცხო.

განსახილველ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო საკრებულომ.

ვიმედოვნებთ, თითოეული პროექტის განხორციელებით სამტრედიელები მეტად გაიხარებენ, გაუმჯობესდება მათი ყოფითი პირობები, დამშვენდება ქალაქი.

მოკრძალებით ვიტყვი, მაოცებს საკრებულოს რიგ წევრთა მრავალწლიანი, დიახ, მრავალწლიანი ოლიმპიური სიმშვიდე ნებისმიერი მწვავე საკითხის განხილვისას მათ მიერ საკუთარი პოზიციის დაუფიქსირებლობით რომაა გამოხატული...

# პირველი ლოკაცია დიდი ჯიხაიში იყო

ლევან ბაბუჩავა

როგორც ვიუწყებოდით, იგეგმებოდა, მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების კუთხით, სოფლებში კვალიფიციურ ექიმთა გასვლა, ორშაბათის ერთ-ერთ სამუშაო თათბირზე, რომელსაც "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მენეჯერი, ლელა ხურციძეც ესწრებოდა, გადაწყდა, რომ პირველი ლოკაცია დიდი ჯიხაიში იქნებოდა.

15 ივლისს მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი გიორგი მეიშვილი და მედიის წარმომადგენლები სოფელ დიდი ჯიხაიშის ამბულატორიას ვეწვიეთ. ადგილზე დაგვხვდა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დიდ ჯიხაიშში, ნუგზარ ხუცუბიძე.

შუადღის პირველი საათისთვის ექიმ ოფთალმოლოგს ოცამდე ადამიანი ელოდებოდა, კმაყოფილები გამოდიოდნენ ალიარებული ოფთალმოლოგ ნიკოლოზ ჩუბინიძიდან უკვე მიღებაზე მყოფნი და სამადლობელს არ იშურებოდნენ, როგორც ექიმების, ასევე იმათ მიმართ, ვინც ორგანიზება გაუკეთა ამ საქველმოქმედო აქციას.

– სოფელში ყოველი წუთი ძვირფასია. სად ქალაქში წასვლა, საათობით ლოდინი და სად აქ მოსვლა. კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩრდილს შეფარებული ქალბატონები, გუგული ქუთათელაძე და მარიამ ეამაკიძე.

ამბულატორიის შიდა სივრცე შემოვიარე, მეგზურობას ოჯახის ექიმი მზია სავვარელიძე მიწევს.

სველი წერტილები მოწესრიგებული გვაქვს, ეზოც, ასე თუ ისე, წესრიგშია. მოსახლეობის მომართვიანობა, განსაკუთრებით პანდემიისას საგრძნობლად იყო გაზრდილი, გვეუბნება მზია ექიმი და ჩვენი აზრით მართლაც დამაფიქრებელი საკითხის ირგვლივ ამახვილებს ყურადღებას. დიდი სოფელია დიდი ჯიხაიში, ამბულატორიას არა აქვს მანქანა, რომ გამოძახების ადგილამდე მივიდეს. ჩვენი ძალებით გვიწევს ბევრი პრობლემის მოგვარება, – დასძენს მზია სავვარელიძე და კვალიფიციურ ექიმთა სოფელში სტუმრობის გამო კმაყოფილებას გამოთქვამს.

ადრე ამბულატორიას ცხენი და ორთვალა ემსახურებოდა, ექიმები ავადმყოფებთან ცხენით მიდიოდნენ, იყო პერიოდი, როცა ჩვენი სოფლის საავადმყოფოში ავადმყოფები წვებოდნენ და შინ გამოჯანმრთელებულები მიდიოდნენ, საუბარში ვვერთვება თანასოფლელი ი. ჩხიკვაძე. ცხენისა და ორთვალის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ წერილის ავტორს, რომელიც წლების მანძილზე დიდ ჯიხაიშში ვმუშაობდი, კარგად მახსოვს საავადმყოფოს მანქანა რომ ემსახურებოდა, რაც იყო იყო.

იმედია, არ იქნება შორს ის დრო, როცა როგორც სოფელ დიდი ჯიხაიშის, ასევე სხვა სოფლის ამბულატორიების პრობლემებზე საუბარი და საფუძვლიანი საყვედური (თუნდაც მოკრძალებული) თქმა არ მოუწევთ.

რაც შეეხება იმ ორი საათით, დიდ ჯიხაიშში რომ გავატარეთ, ადამიანური თვალსაზრისით აღფრთოვანებული დავრჩი, მიზეზი? ჩემს მახსოვრობაში ატალახებული შიდა სასოფლო გზები ახლა მოასფალტებულია, რამდენადმე უცვლია სახე სოფლის ცენტრსაც. აქ საოჯახო სასტუმრო იქნება, შესანიშნავი მოსახვეწებული ადგილია. – გიდობას წევს ჩვენი უმცროსი კოლეგა, ოპერატორი ხვიჩა დარსაველიძე, თან თანასოფლელი პოეტის, ზოია ვაშაკიძის, ლექსს ახმიანებს, სოფელზე თავდავიწყებით შეყვარებული ახალგაზრდა კაცი.

სიხარულის კულმინაცია ექიმთან მიღებაზე მისულ ჩემს ყოფილ მოსწავლეებთან, ამჯერად ბრწყინვალე ოჯახების დიასახლისებთან შეხვედრა იყო.

გრაფიკის მიხედვით ყველა სოფელში იგეგმება ექიმთა უფასო სამედიცინო კონსულტაციები, რაც უდავოდ მისასალმებელია.





## დანიშვნა

ამ დღეებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად დაინიშნა ქალბატონი ნორა იანიკოვა. დაიბადა 1985 წელს. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით (მაგისტრი).

2014 წლიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოშია. ჯერ იურისტად, 2019 წლიდან საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო, ამჯერად კი, საკრებულოს აპარატის უფროსად დაინიშნა, დადასტურებულია.

თავისთავად საკრებულოს აპარატის მოქნილ მუშაობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ვულოცავთ ნორა იანიკოვას ახალ პოზიციაზე დანიშვნას, გამოვთქვამთ რწმენას, რომ იგი როგორც წინათ, ამჯერადაც ყველაფერს გააკეთებს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

ლევან ბაბუჩავა

# მეთორმეტე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ოქტომბერში დასრულდება

ნათია ნაცვლიშვილი









სამტრედიის მეთორმეტე საჯარო სკოლას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, 2022 წლის 2 ოქტომბერს ამ საგანმანათლებლო კერას 128 წელი უსრულდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად სამტრედიის მეთორმეტე საჯარო სკოლაში მიმდინარე სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ამ უძველესი სკოლის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება, სკოლას ისტორიული ნაწილი სრულად შეუნარჩუნდება, სამუშაოებს ასრულებს შპს "სამშენებლო ჯგუფი". ხელმძღვანელი (ანტონ სულავა). "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში დავით ბახტაძემ ყველა იმ პროექტზე ისაუბრა, რომელიც ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ხორციელდება.

დავით ბახტაძე: "საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჩვენს ქვეყანაში, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი ხორციელდება საქართველოში, გათვალისწინებულია 800-მდე სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის იგეგმება 80 ახალი სკოლის მშენებლობა, 220 სკოლის მთლიანი რეაბილიტაცია და 500-მდე სკოლის მიმდინარე სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მეთორმეტე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, მეათე სკოლაში დასრულდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, იგეგმება მეოთხე საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, უკვე დასრულებულია და შერჩევა-შეფასების ეტაპზეა სოფელ ნაბაკევში საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხი, იქ ახალი, თანამედროვე საჯარო სკოლა აშენდება.

მეთორმეტე საჯარო სკოლაში სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა, ამ შემოდგომაზე სამტრედიას ამ სკოლის სახით სრულიად განახლებული სასკოლო დაწესებულება შეემატება, რომელსაც ძველი იერ-სახე ექნება შენარჩუნებული, აქტიურად ვმუშაობთ რეგიონული განვითარების სამინისტროსთან და ახლო მომავალში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩხენიშსა და მეორე საჯარო სკოლასთან შერწყმულ სკოლაში."

მეთორმეტე საჯარო სკოლის დირექტორი, ნინო ონიანი: " სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, ეზოში სადრენაჟე სისტემა მოწესრიგებულია, ზედმიწევნით დაცულია პროექტით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, სისტემატურად მოწმდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე სამუშაოები, ასევე გულდასმით ეცნობა მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერია, ალბათ, მივიღებთ ერთ-ერთ საუკეთესო სკოლას სამტრედიაში. იმედია, დადგენილ დროს – ოქტომბერში დასრულდება და ახალმოსახლეობას ვიზეიმებთ, მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, დავით ბახტაძეს ამ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მხარდაჭერისა და მუდმივი ჩართულობისათვის."

# ჩქაროსნული გზის მშენებლობა რიკოთზე

ნინო ნანიტაშვილი

საუკუნის პროექტი, რიკოთის 4 ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალური გზის მშენებლობა აქტიურად გრძელდება. სამშენებლო სამუშაოები ყველა გვირაბზე მიმდინარეობს. უკვე გაჭრილია 24 გვირაბი, საიდანაც 3 დასრულებული გვირაბით სატრანსპორტო საშუალებები უკვე სარგებლობენ. სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს 88 ხიდზე, საიდანაც 30 უკვე აშენებულია, ხოლო 6 დასრულებულ ხიდზე მოძრაობა გახსნილია. სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. '

"რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობა ნამდვილად საუკუნის პროექტია და აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო საგზაო დერეფნის ყველაზე გამოწვევიანი და მნიშვნელოვანი მონაკვეთია. სამუშაოები ყველა გვირაბზე გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. გვაქვს დასრულებული გვირაბები, რომლითაც უკვე ვსარგებლობთ. გვირაბების ნახევარი კი უკვე გაჭრილია და შესაბამისი მოსახვითი სამუშაოები ხორციელდება. ასევე, კარგი პროგრესია ხიდებთან მიმართებაშიც – მიმდინარეობს ყველაზე გრძელი, უნიკალური მეტალის ხიდის მონტაჟი. ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ რიკოთის მაგისტრალური გზის სამშენებლო სამუშაოების მონახულების შემდეგ განაცხადა.

"ძალიან მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს მთლიანად რიკოთის მონაკვეთზე, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ წლის ბოლომდე დამატებით კიდევ რამდენიმე კილომეტრი გავხსნათ. გზის მშენებლობის პროექტი უნდა დასრულდეს მომავალი წლის ბოლოსთვის, რაც მისცემს ჩვენს თანამოქალაქეებს საშუალებას, რომ უფრო მარტივად გადაადგილდნენ. ამასთან, გაზრდის გზის გამტარუნარიანობას, სატრანზიტო ტვირთბრუნვას და შესაბამისად ეკონომიკური სარგებელიც ექნება ჩვენს რეგიონს". – განაცხადა მედიასთან საუბარში მხარის რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე მშენებლობა მიმდინარეობს ურთულეს გეოგრაფიულ მარშრუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით. მშენებლობა 4 მონაკვეთად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის 11.6 კმ-იან, ხევი-უბისას 12.2 კმ-იან, უბისა-შორაპანის 13 კმ-იან და შორაპანი-არგვეთის 14.7 კმ-იან მონაკვეთებად. საერთო ჯამში, რიკოთზე დაგეგმილია 52 კმ-მდე გზის, 97 ხიდისა და 51 გვირაბის მშენებლობა. რიკოთის საგზაო მონაკვეთი აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის (E60-ის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი თანამედროვე სტანდარტის 4 ზოლიან ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზება გაზრდის გზის გამტარუნარიანობასა და სატრანზიტო ტვირთბრუნვას. ამასთან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი, ხოლო მგზავრობის დრო საგრძნობლად შემცირდება.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მიმდებარე სოფლების მოსახლეობას საკუთარი ნაწარმის გაყიდვის საშუალება ექნება.

რიკოთის პროექტებზე ამჟამად დასაქმებულია 40000-ზე მეტი ადამიანი და დასაქმებულთა დაახლოებით 68% საქართველოს მოქალაქეა. რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, ეტაპობრივად 2023 წელს დასრულდება.





# გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკა სამტრედიაშიც უნდა დაინერგოს



სამტრედიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამ დღეებში ბათუმს ეწვივნენ და პლასტმასის ნარჩენების შეგროვება-დახარისხების ექსპერიმენტის შედეგებს გაეცნენ.

ბათუმის მერიაში გამართულ შეხვედრაზე შეხვედრის მონაწილეებმა ნარჩენების მეორადი მართვის სხვადასხვა მოდელზე იმსჯელეს, ხოლო შემდეგ პლასტიკური ნარჩენების შეგროვების, დაპრესვისა და გადასამუშავებლად მომზადების პროცესს გაეცნენ.

იმედი გვაქვს, რომ სულ მალე, მსგავსი სქემა სამტრედიაშიც ამოქმედდება, ხოლო სამტრედიელები ნარჩენების მეორად მართვაში ჩაერთვებიან.

ჩვენი მიზანია, ეს გარემოსადმი მეგობრული და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო პრაქტიკა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში დაინერგოს." – თქვა ბათუმის მერიაში გამართულ შეხვედრაზე.

ნინო ნანიტაშვილი

# ნინო სცურუა: ჩემთვის ეს არის დამატებითი მოტივაცია და პასუხისმგებლობა

ნათია ნაცვლიშვილი

*შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა ჯილდო თუ მაღალი სტატუსი, სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგ ნინო სცურუას რომ არ მიეღოს! სულ ახლახან ქალბატონი ნინო მენტორი მასწავლებელი გახდა. ამ ძალიან საპატიო ტიტულის შემდეგ ნინო კიდევ ერთ ტიტულს დაეუფლა: საქართველოს ინგლისური ენის ათ საუკეთესო პედაგოგს შორის დასახელდა, რაც ასევე დიდი პატივია მისთვის. "სამტრედიის მაცნე" ყველა მის აკადემიურ მიღწევას აშუქებს, ისევე, როგორც სხვა სამტრედიელი წარმატებული პედაგოგებისას. ამჯერად პედაგოგს ერთადერთი კითხვით მივმართეთ.*



– ახალგაზრდულ ასაკში თითქმის ყველა ჯილდო და ტიტული მიიღეთ, როგორი შეგრძნებაა, ასეთი სწრაფი წინსვლა აკადემიურ სივრცეში? რა პრინციპით გამოვლინდება წარმატებულ პედაგოგთა ათეული? რას ნიშნავს თქვენთვის საუკეთესო ათეულის წევრობა?

"მასწავლებლის სახლი ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს "ინგლისური ენის საუკეთესო მასწავლებელი". წელს გადავწყვიტე მეც მიმეღო მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში, ჩემი მთავარი მოტივატორი ამ საქმეში იყო პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ხათუნა ფიფიაძე. გადავგზავნე ჩემი პორტფოლიო, ინფორმაცია ყველა იმ აქტივობასა თუ პროექტზე, რომელსაც ვახორციელებ და ასევე სამწუთიანი ვიდეო, რომელშიც ვისაუბრე ჩემს პედაგოგიურ კრედოზე. სპეციალური კომისია არჩევს აპლიკანტებს ფინალური ეტაპისთვის, მოვხვდი ამ ფინალურ ეტაპზე, რომელიც გულისხმობდა საგაკვეთილო დაკვირვებას და ინტერვიუს ჩატარებას სასკოლო სივრცეში. 13 ივნისს გაკვეთილზე დამესწრნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინგლისური ენის ხელმძღვანელი, ქალბატონი რუსუდან ტყემალაძე და მასწავლებლის სახლის წარმომადგენლები, ნონა პოპიაშვილი და მაია ტყემალაძე. ხსენებულ კლასად ავირჩიე მე-5 ა კლასი, დაწყებითი საფეხური, რადგან მინდოდა კომისიისათვის მეჩვენებინა ჩემი პატარების დიდი შესაძლებლობები ინგლისურ ენაში, გაკვეთილმა ჩაიარა შესანიშნავად, გაკვეთილის შემდეგ კომისიის წევრები შეხვდნენ მშობლებს, სკოლის ინგლისური კლუბის წევრებსა და ჩემს კოლეგებს. დაჯილდოება შემოდგომაზე გაიმართება, ეს ჩემთვის არის დამატებითი მოტივაციაც და პასუხისმგებლობაც. იმის მიუხედავად, თუ რომელ ადგილს დავიკავებ ამ ათეულში, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამ ხამმა პროფესიონალმა მე და ჩემმა პატარებმა საუკეთესო შეფასება მოგვცეს".

# სამტრედიაში კოვიდ ინფექციის დადებითი მაჩვენებელი იზრდება

ბოლო ორი კვირის განმავლობაში "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის კოვიდ ლაბორატორიას გამოკვლევის მიზნით მიმართა 731-მა პაციენტმა. აქედან დადებითი შემთხვევა 248 მოქალაქეს დაუდასტურდა. "პაციენტების მდგომარეობა არის მსუბუქი. მათ აღენიშნებათ მსუბუქი რესპირატორიული ნიშნები. ინფიცირებულ პაციენტებს ოჯახის ექიმები ონლაინ მართავენ. იშვიათი გვაქვს სტაციონარში გადაყვანის შემთხვევები. საბედნიეროდ, სამტრედიაში გარდაცვალება არ დაფიქსირებულა". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის კოვიდ კაბინეტის ლაბორანტმა,ნათია ნადირაძემ.

ნინო ნანიტაშვილი



# საქართველოს ეროვნული გმირის, ირაკლი ქუთათელაძის, ხსოვნის ტურნირმა სამტრედიაში სტარტი 21 ივლისს აიღო

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ეგიდით, მერიის კულტურის სპორტის, განათლების, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებული მინი ფეხბურთის ტურნირს თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე თედო კაკულიას სახელობის მოედანი მასპინძლობდა.



ტრაგიკულად დაღუპული ირაკლი ქუთათელაძის სახელობის ტურნირში სხვადასხვა ორგანიზაციები ჩაერთვნენ, ჯამში რვა გუნდმა ითამაშა. ტურნირის გახსნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, ასევე ირაკლი ქუთათელაძის მამა, ნუკრი ქუთათელაძე, თედო კაკულიას მამა, ბექან კაკულია და ტრაგიკულად დაღუპული ირაკლი ქუთათელაძის ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ. თბილისის საპატრულო პოლიციის ოცმეთაური, სამტრედიის მკვიდრი ირაკლი ქუთათელაძე 2007 წლის ივლისში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. მან მდინარეში თვითმკვლელობის მიზნით გადამხტარი ახალგაზრდა გოგონა საკუთარი სიცოცხლის ფასად სიკვდილისგან იხსნა და 37 წლის ასაკში თავად გმირულად დაიღუპა.



ირაკლი ქუთათელაძეს გარდაცვალების შემდეგ ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა და დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ორდენით. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მშობლიურ სამტრედიაში 2012 წლიდან მინი ფეხბურთის ტურნირი ტარდება. პირველი ასპარეზობა ოჯახის მეგობრების თაოსნობით გაიმართა, შემდგომ, პროცესში ადგილობრივი ხელისუფლება ჩაერთო. მას შემდეგ ირაკლი ქუთათელაძის სახელობის ტურნირი ყოველწლიურად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს დაფინანსებითა და ორგანიზებით იმართება.



საპრიზო ადგილისათვის გუნდები ერთკვირიანმა ასპარეზობამ გამოავლინა. გამარჯვებული გუნდისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ ფულადი ჯილდო და საჩუქრები დააწესა, რომელიც პირველადგილოსანს ტურნირის დახურვის ცერემონიალზე გადაეცემა.

ნინო ნანიტაშვილი

# რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან შრომით განდიდებული

ამჯერად კიდევ ერთ ღირსეულ სამტრედიელ რკინიგზელს გავიხსენებთ, რომელმაც მუხლჩაუხრელი შრომით არა მარტო ოჯახი, რაიონი, ქვეყანა ასახელა. მისი შრომითი ბიოგრაფია საბუქსირო გემზე "წითელი ოქტომბერი" დაიწყო ფოთში, მომდევნო წლებში კი, სამტრედიის სავაგონო დეპოში მუშაობდა დურგლად.



სწორედ აქ შეამჩნიეს მისი ხაოცარი თავდადება მინდობილი საქმის შესრულებისას, პროფესიონალიზმი სიყვარული და იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს სამტრედიის რაიონიდან. წლების მანძილზე იცავდა თანაქალაქელთა ინტერესებს და უფლებებს იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ამავდროულად დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა საზოგადოებაში.

"საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოთარ შენგელია სპორტისთვისაც პოულობს დროს, ჯერ ფეხბურთით იყო გატაცებული, მერე ფრენბურთს დაუმეგობრდა, ამჯერად კი, ერთ-ერთ საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელად ითვლება დეპოში. თავად გააკეთა მაგიდა და საზოგადოებრივი მწვრთნელობაც ითავა. ახლა მას დეპოში არაერთი მიმდევარი ჰყავს და ტურნირებშიც წარმატებით გამოდის". – ვკითხულობთ გაზეთში "დროშა", რომელიც 1967 წლის 23 ოქტომბრითაა დათარიღებული.

ბატონი ოთარის მთელი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს წარმატებებს თუ საქმე გიყვარს და სიძნელეების არ უფრთხი. მისი წარმატებების შესახებ ხშირად და ვრცლად წერდა არა მარტო ადგილობრივი, არამედ რესპუბლიკური და მაშინ საკავშირო ჟურნალ-გაზეთები.

რკინიგზელთა ქალაქია სამტრედია, რიცხვით სამტრედიელ რკინიგზელთა წარმატებებზე საუბარი. შეუძლებელია არ გაიხსენო ბატონი ოთარიც, რომლის ნათელ ხსოვნასაც სათუთად ინახავენ ოჯახის წევრები, ახლობლები, სამტრედიელები.

ლევან გაბეჩავა

# სოფიკო ტერელაძე: “ჭადრაკი მთელი ჩემი ცხოვრებაა”

ქეთევან ჯელიძე

*“სამტრედიელი სოფიკო” – ჭადრაკში მსოფლიო ვიცე-ჩემპიონის, დავით ბრონშტეინის წერილის ეს სათაური ახალგაზრდა მოჭადრაკისთვის ერთგვარ საგზურ ბარათად იქცა ჭადრაკის სამყაროში.*

*სამტრედიელი სოფიკო ტერელაძე დღეს უკვე არა მარტო სამტრედიის და საქართველოს, მსოფლიოს მაღალი საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელია. ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში გახდა იგი საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის და დღემდე მისი შედეგი არავის გაუმეორებია.*

*სამტრედია კი არის ის ქალაქი, როგორც თვითონ ამბობს: “სადაც დავიბადე და გავიზარდე, ასოცირდება ჩემს ბედნიერ ბავშვობასთან, ჩემს თანაკლასელებთან, დედისა და მამის მეგობრებთან, ყველა მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი. საოცარი ხალხი იყო”.*

*ფიდეს მწვრთნელი, ფიდეს არბიტრი და საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში სოფიკო ტერელაძე, სულ ცოტა ხნის წინ, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, ქალთა შორის (50+) ევროპის ჩემპიონი გახდა. წარმატებულ ქალბატონს უამრავი ადამიანი გულშემატკიოდა. დაუვიწყარი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ბათუმში. ჩემპიონატზე, რომელიც პოლონეთის ქალაქ ლუბლინში გაიმართა, მხოლოდ 4 ქვეყნის ჰიმნი გაჟღერდა და მათ შორის ერთ-ერთი საქართველოსი იყო.*

*ტერელაძეების ოჯახში ჭადრაკის სიყვარული ტრადიციაა. ჯერ კიდევ პატარა სოფიკოს თამაში მამამ, ვაჟა ტერელაძემ შეასწავლა. თავად პროფესიით ექიმი, ბატონი ვაჟა სამტრედიის სამგზის ჩემპიონი გახლდათ. ქალბატონი სოფიკოს შვილი, მარი თევზაძეც ჭადრაკს თამაშობს და წარმატებებსაც აღწევს. მან რამდენიმე დღის წინ ფოთში გამართულ საერთაშორისო B ტურნირში ქალთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა.*

*ამჟამად სოფიკო ტერელაძე ჩვენი რესპონდენტია. იგი თავად გვიამბობს იმ გზაზე, რომელმაც აღიარებამდე მიიყვანა.*

– 5 წლის ასაკში დავიწყე თამაში, მამამ მასწავლა. შემდეგ წამიყვანა საჭადრაკო სკოლაში ანზორ მაისურაძესთან. უფრო და უფრო მეტს ვმეცადინეობდი. მერაბ არწევაძე, ნიკო ლეკვეიშვილი, რეზო კაპანაძე – ჩემი სამტრედიელი მწვრთნელები იყვნენ სხვადასხვა დროს; ასევე ალეკო ბოკუჩავა თბილისიდან. ძირითადი მწვრთნელები კი იყვნენ ალექსანდრე ნიკიტინი, რომელიც კასპაროვის სეკუნდანტი იყო, ავერკინი, რომელიც კრამნიკს სეკუნდანტობდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი დავით ბრონშტეინი, ჯანოევი და ქოტკოვი. დავით ბრონშტეინი ხშირად ჩამოდიოდა სამტრედიაში, ჩვენს ოჯახს სტუმრობდა. ერთდროულ სეანსებს ატარებდა სხვადასხვა ორგანიზაციაში და მე ლექციებს მიტარებდა. 8 წლის ვიყავი ჩემზე წერილი რომ დაწერა: “სამტრედიელი სოფიკო” და ასე გამიცნეს ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

სამტრედია მაშინ ბევრ საჭადრაკო ტურნირს მასპინძლობდა და კარგადაც. კლუბის დირექტორი იყო ბუგან ჩხაიძე, ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე კი თიარ სტურუა, ჩემი ნათლია, ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამასთან ერთად. ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩემზე მერაბ არწევაძეს. დღემდე ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარია. მწვრთნელის სახით ბევრი წელი მედგა გვერდით.

მეცადინეობისთვის მაქსიმალური პირობები მქონდა შექმნილი. 13 წლის ასაკში გავხდი უმაღლესი ლიგის ჩემპიონი ქალთა შორის. ეს ძალიან დიდი შედეგი იყო მაშინაც და ახლაც. მივიღე სპორტის ოსტატის წოდება. 15 წლისამ ვითამაშე მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ტარდებოდა და გავიყავი მე-3, მე-4 ადგილები. მიწინასწარმეტყველებდნენ, ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, გადამწყვეტი პარტია წავაგე.

შემდეგ მოვიდა 90-იანი წლები და მთელი თაობა, როგორც მთელი თაობები მაშინ, დაკარგული აღმოჩნდა. ერთადერთმა აწ განსვენებულმა ნინო ხურციძემ აჩვენა შედეგი, რომელიც დიდი მოჭადრაკე იყო, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მუდმივი წევრი და საერთაშორისო დიდოსტატი.

გარკვეული დროის შემდეგ მოვიდა საერთაშორისო ტურნირებიც, ისევ მოვიდა უმაღლესი დონეც 2006 წელს, მაგრამ ეს ის შედეგი არ იყო, რაც, ალბათ, ახალგაზრდობაში უნდა მეჩვენებინა. 90-იანმა წლებმა თავისი გავლენა მოახდინა. მაშინ მეცადინეობის არც საშუალება იყო და ელემენტარულად, უმაღლეს დონეზე სანთლის შუქზე ვთამაშობდით. შემდეგ ყველაფერი დალაგდა, ყველას თავისი პრობლემები ჰქონდა. როგორც ხდება ხოლმე...

– **ყველაზე პატარა ასაკში გახდით საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში, უკვე პოპულარული, რომელიც ყველას უყვარდა და ეამაყებოდა.**

– დიახ, 13 წლისა. ჯერ არავის გაუმეორებია ეს შედეგი.

– **მაშინ, როგორც სპორტის ყველა სხვა სახეობას, ჭადრაკსაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. დღეს რა მდგომარეობაა, როგორ შეაფასებდით?**

– ძალიან დაფასებული იყო ჭადრაკი, პოპულარული იყო. ყველა სპორტსმენისადმი იყო სხვადასხვა დამოკიდებულება, ფეხბურთელების, კალათბურთელების, მოჭიდავეების და სხვათა მიმართ. ხალხი სითბოს გამოხატავდა. ახლა ინტერნეტსივრცეა, ინფორმაციები ვრცელდება, მაგრამ შედარებაც არ შეიძლება.

ჩემს ბავშვობაში სახელმწიფოსგან მეტი ხელშეწყობა გვქონდა. თუ გავიხსენებ ჩემს ახალგაზრდობას, იმასთან შედარებით ახლა ყველაფერი ფანტასტიურადაა. შეუძლიათ იმეცადინონ, რაღაც პროგრამებია, საჭადრაკო აკადემიაა, რომელიც უფასოდ ამეცადინებს ბავშვებს, ოღონდ წარმატებულებს. მთავარია იმ წარმატებამდე მიხვიდე. თუ არ გაქვს საშუალება, ვერ მიხვალ, ძალიან რთულია. მთელ მსოფლიოში ასეა, მაგრამ ყველაფერი შედარებითია და ამ მომენტში ყურადღება ექცევა მაინც. როგორც ვხედავ, უფრო მეტი მხარდაჭერა სპორტის მასობრივ სახეობებს აქვს.

– **თქვენს შემთხვევაში როგორაა, თუნდაც, ისეთი ტიტულოვანი ტურნირი, როგორიც ევროპის ჩემპიონატია, სახელმწიფოს ინტერესს რამდენად წარმოადგენდა?**

– ზოგან გაფინანსებენ ტურნირებს, ზოგან საკუთარი სახსრებით მიდიხარ. ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკის ფედერაციის ბიუჯეტში საერთოდ არ იყო. შესაბამისად არც პრემიები არსებობს, როგორც კი გადმოდგა ჩემი სურვილი. აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო დიდოსტატმა, ოლიმპიური ნაკრების წევრმა ხათუნა [illegible] შეძლო ამის შესრულება.

– **ჩვენი ინტერვიუც, ალბათ, ამ ტურნირით უნდა დავიწყოთ. კიდევ ერთხელ გილოცავთ გამარჯვებას. გვიამბეთ მის შესახებ.**

– ეს იყო ჩემპიონატი სენიორთა შორის (50+). ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი ამ ტურნირში. ჩემი პროგრამა მინიმუმი იყო ქალთა შორის ჩემპიონობა და მაქსიმუმი – მამაკაცთა შორის. პირველი ტურნირი იყო, სადაც ასეთი სურვილი მქონდა. ოთხი პარტია, მართალია, მაღალ დონეზე ვითამაშე და რომ მოვხედე, ახლოს ვიყავი ჩემს მიზანთან, ცოტა [illegible] და პარტიების ხარისხიც, რასაკვირველია, დაიკლო. ჯერ კიდევ ბოლო ტურის წინ რომ მომეგო გადამწყვეტი პარტია, ისევ შემეძლო ჩემპიონი გავმხდარიყავი მამაკაცებში. ბოლო ტურში მოგებულ პოზიციაში აღარ გავაგრძელე თამაში. დავაფიქსირე ქალთა შორის ჩემი ჩემპიონობა, თუმცა, წაგების შემთხვევაშიც გარანტირებული მქონდა ჩემპიონობა, მესამე ადგილზე გავდიოდი მამაკაცებს შორის.

– **რატომ არ იბრძოლეთ?**

– არ ვიბრძოლე, მოგებული პოზიცია რომ მქონდა, მეც ვიცოდი. პრიზიც თანაბარი იყო, ანუ პირველი ქალის და მამაკაცის მესამე ერთი და იგივე იყო. მე გარანტირებული მქონდა დაფინანსება მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატში და რატომღაც უკვე აღარ ვიბრძოლე...

– **ნანობთ?**

– ახლა უკვე ვნანობ, რადგან, მე მგონი, ჩემი მოწინააღმდეგე ვერ მიხვდა, რომ უბრალოდ შევთავაზე ყაიმი. მარტო ამის გამო. საერთოდ, მღელვარება ყოველთვის ახლავს თამაშს და რასაკვირველია, ხელს გიშლის. ბოლო ტურის წინ მართლა ვნერვიულე, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ იყო რისკის ქვეშ. ეს იყო მამაკაცთა ღია ჩემპიონატი, სადაც ქალთა ნაკადი ცალკე იყო. მე სულ ლიდერებში ვიყავი, სულ პირველობისთვის ვიბრძოდი. მეტოქე, ბოლო ტურის წინ გამითანაბრდა, როგორც ამ სისტემის ტურნირებს ახლავს ხოლმე, [illegible] ამოვიდა და შეიძლებოდა წამეგო, ის ხდებოდა ჩემპიონი. ამ შემთხვევაში დიდი იყო მღელვარება, დავიძაბე, არ მინდოდა ასეთი კარგი ტურნირის გაფუჭება. საქართველოდან მხოლოდ მე ვმონაწილეობდი, სასიამოვნოა, როცა შენი ქვეყნის ჰიმნი გაჟღერდება. ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, მამაკაცებში სლოვაკი, გერმანელი და შვედი მოჭადრაკეები.

– **შეჯიბრების წინ რაიმე რიტუალი თუ გაქვთ?**

– არანაირი რიტუალი და ცრურწმენები. სხვათა შორის, არ დავასახელებ და საკმაოდ ბევრ ცნობილ მოჭადრაკეს აქვს. მე არანაირი, მაგალითად, ეს კაბა მომგებიანია, თუ ჩავიცვამ. იყო დრო, მქონდა, ბავშვობისას. დღეს უბრალოდ მაცვია, რაც არის კომფორტული და ხელს არ მიშლის ვიყო აბსოლუტურად მობილიზებული. მთავარია ჩემთვის ეს და არა ის, ამ გზით გავიარე თუ იმ გზით, მე-13 ნომერი ვარ და სხვა. მაგრამ არსებობს ერთი რაღაც, რომელიც თუ მოხდა, მაშინ უკვე ვიბნევი, მაგრამ ამას რასაკვირველია, ხმამაღლა არ ვიტყვი.

– **როდესმე თუ დაგითვლიათ, მოგებული პარტიები და საერთოდ რა არის თქვენთვის ჭადრაკი?**

– არა, არ დამითვლია, ვერც დავითვლი, ათასობითაა ასეთი პარტია. ჭადრაკი მთელი ჩემი ცხოვრებაა, საქმე, რომელიც მიყვარს და თან არის შემოსავლის წყაროც. პროფესიით ვარ ისტორიკოსი, მაგრამ არ მიმუშავია არც ერთი დღე და არც ვნანობ, ეს საქმე რომ ავირჩიე.

– **რომ არა მოჭადრაკე, ვინ იქნებოდა სოფიკო ტერელაძე?**

– ადვოკატი, ან ფსიქოლოგი.

– **თქვენმა შვილმა, მარიამმაც თქვენი პროფესია აირჩია. კმაყოფილი ხართ მისი გადაწყვეტილებით? ჭადრაკს თამაშობს თქვენი უმცროსი ვაჟი, თამაზიც.**

– მეტი სერიოზულობით თუ მიუდგება მარი ჭადრაკს, უფრო კმაყოფილი ვიქნები, რადგან პოტენციალი აქვს. თაზო თამაშობს არაპროფესიონალურ დონეზე. სურვილი კი აქვს, მაგრამ იმდენი დრო მიაქვს სწავლას, ამ გრაფიკით მოჭადრაკე ვერ გახდება.

– **მომავალი სასწავლო წლიდან ჭადრაკის სწავლება სკოლებში სავალდებულო იქნება, რამდენად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იგი მოზარდების ცნობიერების ამაღლებაში?**



–ძალიან კარგია. ზოგჯერ ადამიანები ისე ბერდებიან, რომ თავიანთი შესაძლებლობები არ იციან. ასეთ შემთხვევაში ვიღაც ნიჭიერი აღმოჩნდება. მთავარია, პედაგოგი შეხვდეს ისეთი, ვინც ამას შეამჩნევს. ახლა ხდება პედაგოგების გადამზადება და მისასალმებელია ეს პროცესი, მაგრამ მაინც ვიღაცას აქვს ნიჭიერის გამოაშკარავების უნარი, ვიღაცას – არა.

– **პროფესიონალების დეფიციტს გულისხმობთ?**

– პროფესიონალი მწვრთნელების დეფიციტი არის, ცოტანი არიან.

– **რამდენად ჰგავს ცხოვრება ჭადრაკს ან პირიქით?**

– იგივეა, რაც ცხოვრება. გამოუვალ მდგომარეობაში რომ ვარდები, ფიქრობ, ჭადრაკის დაფაზე ასეთ დროს რა გადაწყვეტილებას მიიღებდი. ვინც თავის დროს ოსტატობის კანდიდატობამდე მიდის, ვინც თამაშს თავს დაანებებს და შემდეგ გამოიყენებს ცხოვრებაში, ყველა წარმატებულია. ის, რომ ბავშვმა ჭადრაკი ითამაშოს და გამოიყენოს ცხოვრებაში, [illegible].

– **რთულია ქალისთვის იყოს მოჭადრაკე?**

– დღეს უკვე ვიცი, რომ რთულია. აკლია ჩემი ხელი ოჯახს, განსაკუთრებით ბოლო წელიწად-ნახევარი მაინც, წასული ვარ ქვეყნიდან. მყავს 13 წლის ბიჭი, რომელსაც ვჭირდები, მაგრამ სხვა არჩევანი ამ მომენტისთვის არ გამაჩნია. იყო კოვიდი, ჩაკეტილობა. არ იყო სამსახური. ერთ წელიწადში ამ კონტრაქტს მივიყვან ბოლომდე და დავბრუნდები.

– **მოდით, აქვე ვუთხრათ მკითხველს, რა კონტრაქტზეა საუბარი.**

– ვარ პროფესიონალი მწვრთნელი და ვასწავლი ალმა-ატის ფილიპოვის ჭადრაკის ფიდე აკადემიაში. ძალიან კარგი აკადემიაა, სხვა განხრა არ აქვს, მხოლოდ ჭადრაკს ასწავლიან. კარგი მწვრთნელებიც ჰყავთ. წელიწად-ნახევარი იქ ვარ. სამუშაო გრაფიკიც ნორმალურია. ამის გარდა კიდევ მაქვს გაკვეთილები. ხანდახან მეც ვთამაშობ, ვმეცადინეობ. სხვა რაღაცეებისთვის ცოტა დრო მრჩება. ფაქტობრივად, მთელი დღე ჭადრაკით ვარ დაკავებული.

– **რა არის ის, რაზეც უარს ვერ იტყვით?**

– როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, არასდროს ვიტყვი ჩემს მეგობრებთან ურთიერთობაზე უარს. ეს არის ჩემი საყვარელი საქმე, თუ არ ჩავთვლით ოჯახს.

ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ისინი ყველა სფეროში არიან – მოჭადრაკეებიც და არამოჭადრაკეებიც, ყოფილი თანამშრომლებიც თანაკლასელები და თანაკურსელებიც. მართალი ბედნიერი ვარ, რომ მეგობრებს ირჩევენ. ბევრი კარგი და ერთგული მეგობარი მყავს. ერთგული, რადგან ჩემს ასაკში რომ ამდენი ხნის მანძილზე შეინარჩუნებ მეგობარს, ე. ი. ერთგულია. ძალიან დიდი მხარდაჭერა მქონდა კოლეგა-მეგობრებიდან. ტურნირზე ყოფნის დროს მეხმიანებოდნენ, მამხნევებდნენ, მეხმარებოდნენ. არ ისურვებს, მათი გვარები გამემჟღავნებინა.

– **თვითონ როგორ დაახასიათებდით სოფიკო ტერელაძეს?**

– მეგობრულია, რაც მეხმარება ურთიერთობების შენარჩუნებაში. ვცდილობ, მეგობრების გვერდით ვიდგე ყველა დღეს, პრობლემებისას, ჭირსა, ლხინსა. ძალიან ცუდად უნდა ვიყო, ეს რომ ვერ შევძლო.

ვარ ემოციური, სამართლიანი, მხიარული, შრომისმოყვარე, ხანდახან ჯიუტი, აზარტული, მიზანდასახული. გადავწყვიტე ტურნირში მიმეღო მონაწილეობა და როგორ, არ ვიცოდი. [illegible] მეშვეობით მოვახერხე და წავედი. ვფიქრობდი, ამ ტურნირით მივიღებდი დაფინანსებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში იტალიაში გაიმართება. მე დაფინანსება 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მაქვს. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, მოვხვდე 2022 წლის ჩემპიონატზე, მაგრამ როგორ იქნება ეს, არ ვიცი, დიდი თანხებია საჭირო.

– **ჩვენს რეალობაში არიან აქტიური პოლიტიკოსი სპორტსმენები. თქვენც ხომ არ მოიაზრებთ თავს პოლიტიკაში, მით უფრო მოჭადრაკე?**

– ვცდილობ, ნაკლებად პოლიტიკური ვიყო, მაგრამ არის მოვლენები, რომლებსაც ვერ გავურბივარ და თვალს ვერ ვხუჭავ. მაქვს რეაქცია და ვერევი, როცა ძალადობას ამართლებენ, ძალადობენ ბავშვებზე, ქალებზე. დანარჩენ შემთხვევაში ვინ ვისი მხარდამჭერია, ეს ჩემი საქმე არ არის. ყველამ თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას მიხედოს.

– **ჩვენ გვყოლია მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში, ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, მაგრამ არ გვყოლია მსოფლიო ჩემპიონი მამაკაცი. რატომ ხდება ასე, მხოლოდ ქალბატონები რატომ ლიდერობენ?**

– მამაკაცებში გვყავდა 10, 12, 14, 16 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. ბოლო წლებში არ გვყოლია. ქალი ადვილად არ გამოდის წყობიდან, ქართველი მამაკაცები კი ადვილად გამოდიან. შეიძლება წააგოს პარტია და მერე [illegible] მთელი ტურნირი, ვეღარ ითამაშოს. ამ მხრივ ჩვენ ქალებსაც "არა გვიშვებს", მაგრამ უფრო თავს ვიკავებთ.

– **არ შემიძლია, არ გკითხოთ ყაზახეთში განვითარებული მოვლენების შესახებ. თქვენ იმ შიდა არეულობის დროს იქ იმყოფებოდით, ალბათ, გარკვეული პრობლემები თქვენც შეგექმნათ?**

– არ შემშინებია. ჩვენ ხომ გამოცდილები ვართ. რა თქმა უნდა ძალიან არასასიამოვნო ფონი იყო. ვიყავი მარტო, ინტერნეტი არ არსებობდა. ვოცნებობდი იმაზე, შუქი არ ჩამქრალიყო. გაქრა პროდუქტები, გაქრა ყველაფერი. თუმცა მე იმის წინ რომ ემზადებიან ადამიანები, ისე მზად ვარ [illegible]. მაცივარი სავსე, კარადები სავსე. ამაზე ყველა დამცინის იმ იწყებით და რომ დაიწყო, მერე მიხვდნენ, თურმე ხანდახან საჭიროა ასეთი თადარიგი. მწვრთნენ ჩემი მეგობრები: ერთი თვე რომ არ გაგიჭირდება, ვიცით. ძალიან დიდი ყურადღება გამოიჩინა ელჩმაც, კონსულმაც. ხშირად მირეკავდნენ, დახმარებას მთავაზობდნენ. მართალია, იმ მომენტში დახმარება არ მჭირდებოდა, მაგრამ სასიამოვნოა, როცა იცი და იმედი გაქვს, დაგეხმარებიან.

– **საქართველოში დაბრუნების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

– კონკრეტული არაფერი გეგმა არ მაქვს. დავბრუნდები საქართველოში და საერთოდ, გავაგრძელებ სამწვრთნელო საქმიანობას.

# ქორეოგრაფიულ ანსამბლ "იმერს" მალე ვარსკვლავს გაუხსნიან

ნინო ნანიტაშვილი

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "იმერი" 11 ივლისს შემაჯამებელი ხოლოკონცერტი გამართა. ლონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სრულიად ახლებური ქორეოგრაფიული ნომრები, კლასიკური ცეკვების გათანამედროვებული ვერსიები, სხვადასხვა კომპოზიციებისა და ხალხური სიმღერების აკომპანირების ფონზე შესრულებული ცეკვები. კონცერტი ერისა მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში სრული ანშლაგით წარიმართა. აპლოდისმენტების ფონზე სცენაზე ერთმანეთის მონაცვლეობით შესრულდა სვანური, ყაზბეგური, განდაგანა, ხატრუალი, დაისი, ქალაქური და სხვა. "იმერის" დიდი და პატარა თაობის მოცეკვავეებმა ჯამში 13 ქორეოგრაფიული ნომერი გამოიტანეს საზოგადოების წინაშე. ცეკვები ძირძველ ქორეოგრაფიას და გათანამედროვებულ ელემენტებს აერთიანებდა. ახლებური ინტერპრეტაციით დადგმულმა ქორეოგრაფიულმა ნომრებმა მაყურებლის განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა. გამორჩეული იყო გია ყანჩელის მუსიკის ფონზე შექმნილი კომპოზიცია. კონცერტი ცოცხალი მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა, რაც თავისთავად დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. მუსიკოსთა და მომღერალთა გუნდების ნართულობა "იმერში" უკვე წლებია ტრადიციად იქცა. ყველა ცეკვას ეტყობოდა ანსამბლ "იმერის" ხასიათი ხიშანი – კლასიკური დახვეწილი სტილი, ქორეოგრაფ სოსო შენგელიას განსაკუთრებული ხელწერა, რომელმაც ქორეოგრაფებთან მერი დოლაბა შენგელიასთან და "იმერის" მოცეკვავეებთან ერთად ჩვენს ქალაქში ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ნამდვილი ზეიმი მოაწყო. კონცერტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა. დავით ბახტაძე ღონისძიების დასასრულს სცენიდან მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას. ანსამბლ "იმერის" შემოქმედების სანახავად სამტრედიაში სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ხელოვნების ძველი თაობის მოცეკვავე ღირსების ორდენის მფლობელი ჯურან გოგინავა, სახელმწიფო ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე თემურაზ ფირცხალავა, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იური ტორაძე. კონცერტზე ანსამბლ "იმერისთვის" ვარსკვლავის გახსნის იდეამ გაიჟღერა, აღნიშნულ ინიციატივას ქორეოგრაფთა კავშირის დიდი მხარდაჭერა აქვს.









# ლიკა ჭელიძის წიგნის წარდგინება სამტრედიაში

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელოვანთა დარბაზში ლიკა ჭელიძის წიგნის –"სიმშვიდის იმიტაცია" წარდგინება გაიმართა. აქამდე ლიკას საზოგადოება იცნობდა, როგორც მუსიკალურ პროდიუსერს, წერდა ლექსებსაც. ბოლოს პროზაშიც სცადა ბედი და საკუთარი ნაწარმოები საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა. უკვე რამდენიმე მუნიციპალიტეტში წარადგინა წიგნი. სამტრედია ერთ-ერთი ლიტერატურული სადგურია. შეკრებილ აუდიტორიას ლიკა განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ წარუდგინა და წარმატებები უსურვა ახალბედა, საინტერესო ავტორს.***

როგორც თავად განაცხადა, რადგან "ბიბლუსი" სრულიად საქართველოს მასშტაბით ახორციელებს ტურნეს და მწერლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არიან მიმოფანტული, მასთან ყოფნა ვერც ერთმა მეგობარმა მწერალმა ვერ შეძლო და საკუთარ შემოქმედებაზე თავად მოუხდა საუბარი, არც საგანგებოდ მომზადებული ყვითელი კაბა ჩაუცვამს, თქვა: დაე, იხილოს მწერალი ჯინსებში!

ისაუბრა, თუ რა მძიმე მისიაა, მთაწონო წიგნი ოცდამეერთე საუკუნის ქართველ ახალგაზრდებს, რომელიც უკვე თითქმის ყველა სახელს და წიგნებსაც კი ელექტრონულად იცნობს. ავტორის თქმით, ზოგმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ წიგნი ავტობიოგრაფიულია, წიგნის პერსონაჟი ერთი სიყრმფანა, ემოციური ადამიანია, რომელიც ერთ დღესაც გაიგებს, რომ უკურნებელი სენი სჭირს და თავისი ქალაქიდან სრულიად უცხო ქალაქში მიემგზავრება, წიგნში ერთ-ერთი პერსონაჟი არის კატა და ზოგიერთი კრიტიკოსი მას მთავარ გმირადაც მიიჩნევს.

"ბევრ პარალელს ვავლებ კატის ცხრა და ადამიანის ერთ სიცოცხლეს შორის, წიგნი 8 ნაწილისგან შედგება, ჩემი პერსონაჟის მეცხრე სიცოცხლე თავად ეს წიგნია."– გვეუბნება დებიუტანტი ავტორი და წიგნის წაკითხვამდე გზამკვლევობას გვიწევს. ნაწარმოები გამომცემლობა "ინტელექტმა" გამოსცა. ლიკა ამბობს, რომ მისთვის ეს დიდი პატივია, რადგან ეს გამომცემლობა არამც და არამც არ გამოსცემს წიგნს, თუკი მიიჩნევენ, რომ ეს არ არის ლიტერატურა. წიგნის რედაქტორი არის მაია მიქაია. ლიკა ჭელიძე "ინტელექტის" წიგნის ელჩის მისიასაც ითავსებს საქართველოს რეგიონებში.

მისი წიგნის მიმართ დადებითი რეცენზიები ჰქონდა ორ დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, როსტომ ჩხეიძესა და გიორგი ლობჟანიძეს, ერთ-ერთი მათგანის რეცენზიიდან ამონარიდი წიგნის ბოლო გვერდზეც არის დატანილი. ლიკამ უკვე დაასკვნა, რომ ახალგაზრდების სულს მისი წიგნი ნამდვილად არ დააზიანებს, მისმა 16 წლის შვილმა წიგნი რომ წაიკითხა დედას უსაყვედურა, წიგნის გაგრძელება რატომ დაუზარაო. ეს მწერალს ძალიან ახარებს. მოთმინებით ელოდება მკითხველის შეფასებას, რომელიც არ ჩანს. – გვითხრა მან.

ჩვენ დავინტერესდით, შეიცავდა თუ არა მისი წიგნი თანამედროვე ქართული ნაწარმოებებისათვის ეგზოტიკურ დამახასიათებელ უხამს გამოთქმებს და ჟარგონს, რამდენად აუცილებელია ასეთი უხამსობებით ლიტერატურული ტექსტების დახუნძლა და რატომ ვერ იშლიან თვით ძალიან კარგი ავტორები ამ ჩვევას თუ "სარეკლამო ტრიუკს"?

– ვერც ერთ ქალაქში ვერავინ გაბედა ამ შეკითხვის დასმა, ლიტერატურის სფეროშიც გაყოფილია ასეთი წიგნების შესახებ აზრი, ადამიანის გონებას აქვს უსაზღვრო ფანტაზია, ეს არის ერთგვარი მარკეტინგი, ჩემი მარკეტინგი კი მხოლოდ ისაა, რომ მხოლოდ ჩემი ფოტოა ამ წიგნზე, წიგნი დაიწერა თულუზში და მის გარეკანზეც თულუზის ფოტოა გამოსახული. – გვიპასუხა ავტორმა.

ლიკას ახსენე ვთხოვეთ, წაგვეკითხა მისი რომელიმე ლექსი, მაგრამ გვიპასუხა, რომ მისი [illegible] და ამჟამად თავი შეიკავა. რაც შეეხება წიგნის სათაურს, იგი მწერალმა ზურაბ კვარაცხელიამ შეურჩია, რომელიც ავტორმა ერთ-ერთ საუკეთესო თანამედროვე მწერლად დაასახელა.

რამდენიმე დღეში ლიკა ჭელიძე წიგნს ამბროლაურში წარადგენს მკითხველთა წინაშე. მან რამდენიმე მცირე ამონარიდიც წაიკითხა თავისი წიგნიდან. ბოლოს გვითხრა, რომ სამტრედიაში კიდევ ერთი ავტორის, ხატია ალფაიძის წიგნის პრეზენტაცია მოეწყობა.

შეხვედრის ბოლოს სცენაზე ავიდა მუნიციპალიტეტის მერი და დარბაზს სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ სამტრედიის ღირსეული შვილის, სამტრედიის ტელევიზიის ხელმძღვანელის, ოთარ თევზაძის ხსოვნისათვის, რომლის გარდაცვალების ამბავი დარბაზში მყოფმა შეიტყო.

დავით ბახტაძემ ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამტრედიის კულტურული ცხოვრებისათვის მსგავსი შეხვედრების მოწყობა. მისივე თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ახალგაზრდობა წიგნს არ უნდა დააშოროს, რადგან წიგნი განათლების მიღების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მუნიციპალიტეტის მერმა ისიც დასძინა, რომ წიგნისთვის თვალის გადავლება მოასწრო და ერთ-ერთმა თავმა ის ძალიან დააინტერესა.







# უპირველესად ებრაული, შემდეგ კი ქართული ტრადიციების შემნახავი

ნათია ნაცვლიშვილი

*ეფრაიმ მიხაელი – დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში.*

*მშობლები: იაკობ (მეტსახელად ჯორჯიკო) და რივა მიხელაშვილები.*

*იაკობი იყო კულაშის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სამკერვალო ფაბრიკის უფროსი.*

*მამის მხრიდან ბაბუა – აბრაამი, ალიოშა მიხელაშვილი, ბებია – ესთერი. ბაბუა იყო აბაშის საზოგადოების სამკერვალო ქარხნის უფროსი, ჰყავდათ შვიდი შვილი.*

*დედის მხრიდან ბაბუა და ბებია: იცხაკ და ესთერ (ფუცურა) მოძღვრიშვილები. ჰყავდათ 4 შვილი.*

*ეფრაიმ მიხაელი ამ ორი დინასტიის უფროსი შვილიშვილია.*

*1971 წელს მოეწყო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე.*

*1972 წლის 26 სექტემბერს ჩავიდა ისრაელში.*

*1975 წელს დაქორწინდა მანანა დინა მოშიაშვილზე, ჰყავთ სამი შვილი: ავი, იციკი, ზენი.*

*1976 წელს გაიწვიეს სამწლიან სავალდებულო ჯარში.*

*1980 წელს წავიდა საოფიცრო კურსებზე.*

*1981 წელს გახდა ოფიცერი.*

*1982 წელს მონაწილეობა მიიღო ისრაელ-ლიბანის ომში.*

*1983 წელს ჯარიდან საზწავლებლად გზავნიან ქალაქ ხაიფის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, დაამთავრა კომპიუტერული ინჟინერიის და ენერგეტიკის ფაკულტეტი.*

*1986 წელს დაინიშნა სახმელეთო ჯარების კავშირგაბმულობის და კონტროლის, ტექნოლოგიური განყოფილების და იარაღის გამოგონების უფროსად.*

*1988 წელს მიიღო მაიორის წოდება.*

*1990 წელს გახდა კავშირგაბმულობის და კონტროლის მწარმოებელი ბაზის შტაბის (შტაბში 1200 ადამიანი მუშაობდა) უფროსი.*

*1993 წელს მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.*

*1997-1999 წელს დაამთავრა ინგლისის ქალაქ დერბის უნივერსიტეტი, სპეციალობა მენეჯმენტი.*

*1999-2002 წელს მიიღო პოლკოვნიკის წოდება.*

*დაინიშნა ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლად რუსეთში, ისრაელის არმიის სამხედრო ატაშედ რუსეთში – მოსკოვი. გამარჯვებული დაბრუნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მოსკოვში, როგორც ისრაელის დიდი დიპლომატი. ორ ქვეყანას შორის დადო დიდი შეთანხმებები და დაამყარა სამხედრო და პოლიტიკური კავშირები.*

*2011-2014 წელს იყო ისრაელის პორტების სისტემის HANI დირექტორატის თავმჯდომარე – დააშენა და ააშენა ისრაელში ორი ახალი პორტი: ხაიფა და აშდოდი (პროექტების ბიუჯეტი 3 მილიარდი დოლარია).*

*2015-2017 წლებში იყო ისრაელის ნავთობისა და გაზის კომიტეტის წევრი.*

*2017-2021 წლებში იყო METEOR AIROSPASE GRUP (მოწინავე იარაღის გამომგონებელი კომპანია) დირექტორთა საბჭოს წევრი.*

*2003 წლიდან დღემდე არის პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, ისრაელსა და მსოფლიოში.*

*ჰყავს 11 შვილიშვილი, ორი ვაჟი იყო ისრაელის არმიის მებრძოლი ოფიცერი– ორივე ვიცე-პოლკოვნიკი. მან და მისმა ვაჟებმა ისრაელის არმიაში სამსახურს მრავალი ათეული წელი მიუძღვნეს, ეს ისტორიული მონაცემებაა ისრაელის ისტორიაში.*

ეფრაიმ მიხაელი არის ისრაელის არმიის რეზერვისტების პოლკოვნიკი, პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი და მიმომხილველი, ისრაელის ყოფილი სამხედრო ატაშე რუსეთში. ბატონი მიხაელი ჩვენი ინტერესის სფეროში იმიტომ მოექცა, რომ ის ჩვენი თანაქალაქელია, სამტრედიის რაიონის დაბა კულაშში დაიბადა და გაიზარდა, მკურნალის სახელობის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. ჩვენი რესპონდენტი საქართველოში ცხოვრების პერიოდს, ახალგაზრდობას, მის მეგობრებს იხსენებს და საქართველოსადმი თავის კეთილგანწყობილებას გამოხატავს. დიდარში შეხვეული ცეცხლივით დაატარებს ქართველი ებრაელი საქართველოდან წაღებულ სიყვარულის ჩანერწკლებს, ლხინის დროს ქართულად მღერის, წუხილის დროსაც ქართული სიტყვები ადგება პირზე და ფულსაც ქართულად ითვლის.

– დავიბადე 1955 წელს დაბა კულაშში, იაკობ და რივა მიხელაშვილების ოჯახში. სტალინის ქუჩა 58-ში იდგა ჩვენი სახლი, რომელიც დღესაც უცვლელად დგას. ბაბუაჩემი – აბრაამ-ალიოშა მიხელაშვილი, ცნობილი მოღვაწე, კულტურული ადამიანი გახლდათ. მას და მის მეუღლეს, ბებიაჩემ ესთერს 7 შვილი ჰყავდათ, მამაჩემი, იაკობი მათი უფროსი შვილი იყო. დედის მხრიდან ბებია და ბაბუა იყვნენ იცხაკ და ესთერ (ფუცურა) მოძღვრიშვილები. ცხოვრობდნენ ჯვარცმის მინდორზე, იმ ადგილას, ეხლა რომ ქელესიასთან მისვალი. მამა 18 წლის იყო, მე რომ დავიბადე, კომუნისტური პერიოდი იყო და ბაბუა, აბრაამ-ალიოშა დაიჭირეს, ბებიამ, ფუცურამ დედაჩემს, რივას უთხრა: შვიდშვილიანი ოჯახის უფროსი რძალი ხარ, შენ ამათ მოუარე, ეფრაიმისთვის დრო არ გექნება, ბავშვს მე წავიყვან და გამოსაკვებად ყოველდღე მოგიყვანო, ერთად გავზარდოთო. ბაბუა აბრაამი მალე გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ მე ფუცურა ბებოსთან 12 წლამდე ვცხოვრობდი. ეს ორი ოჯახი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მიხელაშვილები იყვნენ ნაკითხები, ინტელექტუალები, შვილებს განათლებისკენ მოუწოდებდნენ, ბაბუას აბაშაში ჰქონდა სამკერვალო ფაბრიკა, მამა კი კულაშის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცნობილ ფაბრიკას ხელმძღვანელობდა. დედის დედა და მამა ვაჭრობდნენ, ესთერ-ფუცურა ბებია იყო შამუელ ელაშვილის, საქართველოში აღიარებული, მდიდარი და გავლენიანი პიროვნების უფროსი გოგო. ამ ზედმიწევნით რელიგიური ადამიანების ოჯახში ზეპირად ვისწავლე ბიბლია, გავხდი ჭეშმარიტი მორწმუნე. მეორე ბაბუას ოჯახში კი მივიღე დიდი ცოდნა. მყავს ძმა სიმონი და და დორი. ძალიან სტუმართმოყვარე, ქეიფისმოყვარე, მეგობრებით განთქმული ოჯახი გვქონდა, მეც გავიზარდე მეგობრული ადამიანად, მიყვარდა ხალხის გაცნობა, მათთან დაახლოება. მეოთხე კლასში გადმოვიდა გია მიქელაძე, ის სხვა სკოლიდან გადმოვიდა ჩვენს სკოლაში, დავმეგობრდით. იგი შემოვიდა ებრაელთა ოჯახში, შეუყვარდა ეს ოჯახი და ორი ადამიანის მეგობრობა გადაიქცა ორი ერის–ქართველთა და ებრაელთა მეგობრობად! მსოფლიომ იცის, რომ ეს მეგობრობა არის სპეტაკი და უნიკალური. მე და ბატონ გია მიქელაძეს არასოდეს გვქონია საერთო ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესები, ესაა ორი ადამიანის სიყვარული და მეგობრობა, როგორც "ვეფხისტყაოსანშია" აღწერილი ტარიელისა და ავთანდილის უნიკალური მეგობრობა. გიას უკვე მსოფლიო იცნობს, ჩვენმა მეგობრობამ კონტინენტები და ეპოქები გადალახა, ეს დადასტურდა დიდი ცერემონიით, როცა 2012 წლის 13 ნოემბერს ბატონი გია იმის გამო, რომ არის ებრაელი ერის მეგობარი, ებრაელთა მემორიალების გადამრჩენი და შემნახავი დასავლეთ საქართველოსა და დაბა კულაშში, ისრაელის პარლამენტმა დააჯილდოვა ისრაელის მოქალაქეობით და მეცენატის ტიტულით.

– **უმაღლესი განათლება სად მიიღეთ?**

– ძალიან ძლიერი ვიყავი ტექნიკურ საგნებში. 1971 წელს 16 წლისა და ორი თვისა ვიყავი, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე რომ ჩავაბარე, გამოცდისათვის სამი საათი გვქონდა დრო, მე 45 წუთში დავასრულე წერა და პირველივე გამოცდაში 5-იანი მივიღე, ეს იყო სენსაცია! ბაბუაჩემის უფროსი შვილიშვილი ვიყავი, ყველას ჩემზე ამოსდიოდათ მზე, ძალიან მინდოდა, ბაბუა აბრაამ-ალიოშა, ინჟინერქტგადატანილი კაცი გამეხარებინა და ეს შევძელი, ერთად აღვნიშნეთ ჩემი წარმატება რესტორან "არაგვში".

– **ცნობილია, რომ იოლი არ იყო ებრაელთა სამშობლოში დაბრუნება, როგორ გაიხსენებთ ამ პროცესს?**

– ებრაელობამ ისრაელისკენ დაიწყო წასვლა ისრაელის 1967 წლის 6 დღიანი ომის სენსაციური მოგების შემდეგ. ამ წელს ისრაელს თავს დაესხა რამდენიმე არაბული ქვეყნის ჯარი და განადგურებით დაემუქრნენ, ისრაელის ჯარმა და ავიაციამ 6 დღეში გაანადგურა თავდამსხმელები და მოიპოვა სენსაციური გამარჯვება! სიამაყით უნდა გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირის რკინის კარიბჭე სამმა კულაშელმა ებრაელმა რაბინმა ძმამ გაარღვია! ისინი იყვნენ მოშე, იაკობ და ბესიონ მიხელაშვილები. ჩვენი ნათესავები, წავიდნენ კულაშიდან მოსკოვში და საქართველოდან ისრაელში წასვლა მოითხოვეს. მაშინ ამას ვინც გაბედავდა, კომუნისტები იქვე დახვრეტას მიუსჯიდნენ. ეს სამი რაბინი მოსკოვში, პოლანდიის საელჩოში შეიჭრა და საპროტესტო აქციაზე მოითხოვეს: ან მოგვკვდებით, ან წავალთ ისრაელშიო! პარალელურად, ქართველ ებრაელთა 18-მა ოჯახმა (თბილისიდან, ქუთაისიდან და კულაშიდან) შექმნეს საიდუმლო დოკუმენტი სახელწოდებით: "გამოუშვი და გაათავისუფლე ჩემი ერი!" ეს წერილი გააპარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში. გოლდა მეირმა, ისრაელის მთავრობის მეთაურმა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი, ლეგენდარული ქალბატონი იყო, ეს წერილი წაიკითხა ისრაელის პარლამენტში და მსოფლიოს მიმართა თხოვნით: არის ერი, რომელიც ითხოვს თავის სამშობლოში ცხოვრებას, ესენი არიან ქართველი ებრაელები, დაეხმარეთ, მათ ისრაელში შეეძლებათ ჩამოსვლაში.

საბჭოთა კავშირის ლეგენდარულ საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეი გრომიკოს შეეშინდა მსოფლიოს ებრაელთა გაფიცვისა და აჯანყებისა და ამ სამ კულაშელ რაბინს უფლება მისცა, საბჭოეთიდან ჯერ ავსტრიაში, შემდეგ ისრაელში ჩასულიყვნენ.

ამ რაბინების საქციელმა მთელი საბჭოთა კავშირის ებრაელობა გააღვიძა, დაიწყო საპროტესტო აქციები მოთხოვნით: გაათავისუფლე ჩემი ერი! მერე დაიწყო ებრაელების მასობრივი რეპატრიაცია, საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო 1967 წლის საქართველოდან კულაშელი ებრაელების რეპატრიაციით!







– **თქვენი ოჯახი როდის შეუერთდა ამ ტალღას?**

– 1971 წლის მიწურულს, ზამთრის არდადეგებზე კულაშში ჩამოსულს მითხრეს, ბაბუა აბრამს შენთან საუბარი სურსო. მან იცოდა, ჩემი ქვეყნის დიდი პატრიოტი ვიყავი და თბილისის ინსტიტუტში ამიკრძალა ისრაელზე ლაპარაკი, ეშინოდა, კომუნისტებმა არ გადაგაცემინონო. ჩვენ ძლიერი ოჯახი გვქონდა. ბაბუამ მიხმო თავისთან და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თავადვე დამიწყო მისგანვე აკრძალულ თემაზე საუბარი!

მკითხა: თუ იქ ყველანი ებრაელები იქნებიან, ცეცხლს ვინ აანთებს შაბათს? როგორ იქნება ებრაელების სახელმწიფო და ირგვლივ მტრები? აღფრთოვანებულმა გუპასუხე ბაბუა აბრაამ, ღმერთი ებრაელთა მხარესაა, ამიტომაც გაანადგურეს 6 დღეში მთელი არაბული ქვეყნების ჯარი, ეტყობა მოვიდა დრო ლოცვების ასრულების, ღმერთმა გაიხსენა გადასახლებული ებრაელი ერი და უთხრა: დაბრუნდით სამშობლოში, დრო დადგა შვების! 3 თვის შემდეგ, 1972 წლის მარტში ბაბუამ შეიდივე შვილი შეკრიბა და უთხრა: ყველანი მივდივართ ისრაელში! მამაჩემმა, მეტსახელად ჯორჯიკმა შეჰკადრა: მე ვერ წამოვალ, კიდევ ერთი ქარხანა უნდა ავაშენოთო, ბაბუამ უბრძანა: მე სამ შვილს წავიყვან, შენს სამ ძმას კი რამდენიმე თვეში შენ წამოიყვანო. მარტში იგი, სექტემბერში კი ჩვენ წავედით. იმ დღის მერე საყვარელი ბაბუა, ლეგენდა კაცი არ მინახავს, სინაგოგაში გარდაიცვალა რელიგიური დღესასწაულის, კიპურის დღეს. 53 წლის ასაკში, ეს ჩვენ გზად, ვენაში ყოფნისას შევიტყვეთ.

**— თქვენი მარშრუტი როგორი იყო?**

— საქართველოდან ჩავედით მოსკოვში, შემდეგ ბრესტში, იქიდან ვენაში და ბოლოს აშდოდში. ისრაელში ჩამოსვლისას თავიდან ჩავაბარე ხაიფის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც საბჭოთა განათლების სისტემისგან განსხვავებით თეორიასთან ერთად აქცენტი პრაქტიკის გავლაზე კეთდებოდა.

**— ოჯახი როდის შექმენით?**

— 1975 წელს დავქორწინდი ქართველ ებრაელზე, კულაშელ გოგოზე, მანანა - დინა მოშიაშვილზე, მამაჩემი და ჩემი სიმამრი რაფიკო, მეტსახელად ქვერე კულაშიდან ბავშვობის მეგობრები იყვნენ. 1976 წელს გამიწვიეს ისრაელის ჯარში, სამწლიანი სამსახური უნდა გამევლო, მაგრამ სამხედრო კარიერა მხიბლავდა და გავაგრძელე მსახურება. 1977 წელს თეოთონვე შევისყიდე ჩემი სახლი, ამავე წელს დაიბადა ჩემი უფროსი შვილი აბრაამი, ავი. მეორე ვაჟი, იცხაკი, იგივე იციკი, 1980 წელს დაიბადა. 1987 წელს დაიბადა ქალიშვილი, ხერი. ბიჭებს ბაბუების სახელები ჰქვიათ, სამწლიან ჯარს რომ ვამთავრებდი, მეუღლეს ვუთხარი: ოცნება უნდა აეისრულო, ისრაელის ჯარის ოფიცერი უნდა გავხდე, შვილებთან ღამით მარტო დარჩები, მე უნდა წავიდე! ჩემი მეუღლე წერილებს რომ მწერდა, მელანი ცრემლით იყო დასველებული, თვეში ერთხელ შემეძლო ოჯახის მონახულება. სამხედრო საქმის ერთგულება ბავშვობიდანვე, რწმენასთან ერთად ჩამენერგა!

**— როგორ განმარტავთ ცნებას — ქართველი ებრაელი?**

— ეს არის დიდი განზომილება, ქართველი ებრაელი არის უპირველესად ებრაული, შემდეგ კი, ქართული ტრადიციების შემნახავი და დამცველი, ყოველთვის ვიყავი ისრაელის პატრიოტი და არ დამვიწყებია საქართველოში ჩემი ფესვები, ბავშვობა, მეგობრები, ვიყავი და ვარ საქართველოს პატრიოტი და კეთილის მოსურნე.

მოვლენებს გავუსწრებ და გავიხსენებ 2000 წელს, მოსკოვში საქართველოს ელჩთან, ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის ეპიზოდს, მე გახლდით ისრაელის სახელმწიფოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და ისრაელის ჯარის სამხედრო ატაშე რუსეთში. საუბრისას მან საქართველოს სამხედრო ატაშ-



ეს უთხრა: "მე და ეფრაიმი როცა ვლაპარაკობთ, იქ საჭირო არ ხარ, რადგან ეფრაიმი ძალიან კარგად წარმოადგენს საქართველოს ინტერესებსო." ასე ვიცავდი ქართულ ინტერესებს რუსეთში, მსოფლიომ იცის, რომ ერთ-ერთი წარჩინებული და მიღებული დიპლომატი ვიყავი მოსკოვში და მოსკოვის მთავრობის წინაშე. ბატონი ზურაბის მეუღლე, ნინო აბაშიძე და მე და ჩემი მეუღლე, მანანა ძალიან დავახლოვდით.

**— ხანგრძლივი სამხედრო კარიერის გაელა რთული არ იყო?**

— ისრაელის დაზვერვის ერთ-ერთ ცენტრში იყო ჩემი პირველი სამსახურებრივი პოსტი, ახალგაზრდა ოფიცერი თვალს ვადევნებდი, თუ როგორ აწარმოებდა ისრაელის ჯარი საიდუმლო ოპერაციებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ეფრაიმ კულაშელო, შენ აქ საიდან მოხვედი? მახსოვს, საოფიცრო კურსების დამთავრების ცერემონიაზე ამ კურსების ხელმძღვანელმა, ერთმა გენერალმა 180 კურსანტს უთხრა: "თქვენ ხართ ისრაელის ჯარის მომავალი, დაიმახსოვრეთ ეფრაიმ მიხაელი!" მართლაც, 7 წელიწადში გავხდი მაიორი, მაშინ, როცა ამ წოდების მოპოვებას ისრაელის ჯარში 13 წელი სჭირდებოდა.

საოფიცრო კურსების დამთავრებიდან 12 წელიწადში გავხდი ვიცე-პოლკოვნიკი, 19 წლის შემდეგ კი, პოლკოვნიკი. ვარ ისრაელის არმიის პოლკოვნიკი, ჩემი ორი ვაჟი ისრაელის არმიის ვიცე-პოლკოვნიკია! 1981 წელს, როცა ისრაელის არმია უტევდა ერაყს ატომური იარაღით, ვიყავი ამ ოპერაციის ერთ-ერთი წევრი მიწისქვეშა საიდუმლო შტაბში, ამ დროს 9 წლის ჩამოსული ვარ ისრაელში, მგლებსა და ლომებთან ვარ, ისრაელის არმიის წინა რიგებში ვდგავარ, შიში არაფრის მაქვს! ლეგენდარულ მთავარსარდლებთან გავიზარდე! ყველა უფროსი ამ-



ჩნევდა, რომ ვიყავი სპეტაკი, მამაცი და უშიშარი ოფიცერი!

1982 წელს ვიომე ლიბანის ფრონტზე ისრაელის დაზვერვასთან ერთად ტერორისტული ჯგუფების გასანადგურებლად, 1982 წლის 6 ივლისს დაიწყო ლიბანის ომი, სამხრეთ ლიბანი დაიპყრო ისრაელის არმიამ და დარჩა იქ 18 წელი. ამ ომში კინაღამ ტყვედ ჩავვარდი, როცა შემთხვევით დაუპყრობელ ტერიტორიაზე შევედით. ისრაელის დაზვერვის უფროსის მოადგილემ მთხოვა, ყოფილიყავი ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის უფროსი, მაგრამ ვუთხარი: მიჯობს ჩემს ტერიტორიაზე მოვკვდე, ვიდრე სხვა ქვეყანაში-თქო და დავრჩი ისრაელში. მერე 4 წელი ვისწავლე უნივერსიტეტში კომპიუტერული ტექნოლოგიების და ენერგეტიკის ფაკულტეტზე. მის შემდეგ დავინიშნე ისრაელის არმიის სახმელეთო ჯარის შტაბის ტექნიკური განყოფილების უფროსად. ამ პოსტზე ინიშნებოდნენ ვიცე-პოლკოვნიკები, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კაპიტნის წოდების მქონე დამნიშნეს. აქ დიდი წარმატება მქონდა იარაღის გამოგონებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების საქითხში, ორი წლით ადრე მომცეს მაიორის წოდება. ისრაელის არმიის კავშირგაბმულობისა და დაზვერვის უფროსმა მითხრა, ეფრაიმ, გამორჩეული ოფიცერი, რომელ პოსტსაც ამოირჩევ, იქ დაგნიშნავო. მოვითხოვე კავ-



შირგაბმულობის დიდი ბაზა, სადაც 1200 ადამიანი იყო დასაქმებული, ამათგან 500 ჯარისკაცი და 700 სამოქალაქო პირი, უმრავლესობა ინჟინერი, ტექნიკოსი, ტექნოლოგიების გამომგონებლები, თითქმის 30 პროცენტი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული, რუსულად მოლაპარაკე რეპატრიანტები იყვნენ. აქ შემოვიღე ახალი რეჟიმი, ახალი მეთოდებით მუშაობა, პროდუქცია გაეზარდეთ დიდი პროცენტით, თანაც დავზოგე დიდი ბიუჯეტი, რის გამოც ძალიან მაფასებდნენ ისრაელის არმიაში.

სწორედ ამ ბაზაზე ემსახურობდი რიგით ჯარისკაცად, შემდეგ, საოფიცრო კურსები გავიარე და 7 წლის შემდეგ ამ ბაზის შტაბის უფროსად მოვედი, უკვე წოდებით მაიორი, აქ მსახურობის დროს მივიღე ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. ერთ დღეს აქ სტუმრად გვეწვია ისრაელის არმიის დაზვერვის უფროსი, გენერალი პარკაში, ხელი გადამხვია და მეკითხება: რა ხდება ბაზაში? ვუპასუხე: 1200 კაცი მუშაობს. ახლა მე გეკითხები: უყურებთ ამ სინაგოგას? — ვუყურებ მიპასუხა განცვიფრებულმა. -ეს სინაგოგა გავარემონტეთ, სასწაული ხდება, ვინც რელიგიური და მორწმუნეა, ლოცვას აგრძელებს, ვინც არ იცის, ისინი ღმერთს ეუბნებიან: უფალო, მალე წაიყვანე აქედან ეფრაიმ მიხაილი, დაეითდალეთ ამხელა დატვირთვით მუშაობით, მეტი აღარ შეგვიძლიაო!

გენერალმა აარონ პარკაშმა მითხრა, მგონია, მათი ლოცვა ღმერთმა მართლა გაიგონაო. 1999 წლის ოქტომბერში თავისთან მიხმო არმიის კავშირგაბმულობის უფროსმა, გენერალმა ჰერცელ ჰალალიმ და მითხრა: უკვე ყველა პოლკოვნიკის პოსტი დაკავებულია და უნდა გათავისუფლდეთ დაკავებული თანამდებობიდან. არადა, 4 თვეში ჩემი ვაჟი იციკი ამ არმიაში ამთავრებდა საოფიცრო კურსებს, მინდოდა 9 მარტს ცერემონიას დავესწრებოდი, როგორც სამხედრო პირი. იმ დღიდან ორი კვირის მერე მეძახის ისრაელის არმიის ერთ-ერთი გენერალი, კადრების განყოფილების უფროსი, იოსი ფერეცი და მეუბნება: ახლა გამოვასწორე წარსულში შენს წინაშე დაშვებული შეცდომა, მოვედი თელ-ავივში, ისრაელის არმიის დაზვერვის უფროსთან და ვუთხარი, რომ დიდში შეცდომა, როცა პოლკოვნიკის პოსტზე არ დაგნიშნეს, ვთხოვე ეს შეცდომა გამომესწორებინა.

1999 წლის ბოლოს, ისრაელის არმიის ტექნოლოგიის გენერალი და მომავალი დაზვერვის უფროსი, ჰერცელ ჰალალი თავის კაბინეტში მეუბნება: რასაც ახლა გეტყვი, სახელმწიფო საიდუმლოებაა, მეუღლეს და შვილებს ვერ გაუმხელ, გადავწყვიტეთ, რომ შენ იქნები ისრაელის სამხედრო ატაშე და ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი რუსეთშიო. შოკში ჩავვარდი, დავდუმდი, ეს იცით რას ნიშნავდა ჩემთვის? მესის შემცვლელად რომ გაეეშვე ბარსელონაში ვინმეს ფეხბურთის სათამაშოდ! — ამ თანამდებობას რომ მთავაზობთ, შევძლებ? ვკითხე მას. დიახ, დარწმუნებული ვართ, წარჩინებული იქნებით ამ პოსტზეო, მიპასუხა მან. როცა გამოიცა ბრძანება რუსეთში ისრაელის სამხედრო ატაშედ ჩემი დანიშვნისა და პოლკოვნიკის რანგის მონიჭებისა, მთელი ისრაელის არმია შოკში იყო, ყველა მირეკავდა, მილოცავდა, ეს იყო სენსაცია— რეპატრიანტი ბრუნდება უმაღლესი რანგის დიპლომატად ქვეყანაში, საიდანაც ჩამოვიდა 17 წლისა!

**— რამდენი წელი დაჰყავით ამ თანამდებობაზე?**

— ორწელიწად-ნახევარი ვიყავი მოსკოვში, მერე როტაციის წესით ცვლილება ხდება. მართლაც შესანიშნავად წარიმართა 2000 წლის 9 მარტს ჩემი უმცროსი ვაჟის, იციკის საოფიცრო კურსების დამთავრების ცერემონია. ვზივარ, მეუღლეს, მანანას ვესაუბრები, უცებ ფეხზე წამოდგა 5000 ოფიცერი, მიკრავენ ტაშს, ამიტომ, რომ იციკმა წარჩინებით დაამთავრა საოფიცრო კურსები. გენერალმა მას უთხრა: რომელ პოსტსაც მოითხოვ, ამოირჩიეო, ღმერთო, ეს რა საკვირველი იყო და ჩემმა შვილმა ამოირჩია ყველაზე ძლიერი ფრონტი — ღაზას ფრონტი ტერორისტებთან საომრად!

2000 წლის აგვისტოში უკვე ვემზადები მოსკოვში წასასვ-

მაცნე



ლულად ახალ თანამდებობაზე სამუშაოდ, აი, მე, მანანა და 12 წლის ქალიშვილი ხენი ჩავედით მოსკოვში, ორი ვაჟიშვილი დავტოვეთ ისრაელში, მიმდინარეობდა არაბებთან ომი და ორივე წინა ხაზზე იბრძოდა, ერთი მათგანი არტილერიის ოფიცერია, მეორე კი, სპეცრაზმის ოფიცერი. მანანას ტირილი აეკრძალე და ვუთხარი: მე მივდივარ ჩემი ისტორიული მისიის შესასრულებლად! მივდივარ ისრაელის წარმომადგენელი რუსეთში და ეს არის დიდი ისტორიული მისია ჩემთვის და ისრაელის სახელმწიფოსთვის!

განსაკუთრებით მახსენდება 2001 წლის 21 იანვარი, კრემლში, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ისრაელის პრეზიდენტი, მოშე კაცავი, წინ ის მიდის, მას მიჰყვებიან მინისტრები, უკან მოჰყვება თქვენი მონა-მორჩილი, ეფრაიმ მიხაელი, მარჯვნივ მოსკოვის მერი, მარცხნივ თავდაცვის მინისტრი. წარმადგინეს პუტინის წინაშე, ჟღერს ისრაელის ჰიმნი, მხრებში გამართული ვდგავარ და ჰიმნის სიტყვებს რომ ვისმენ, ვტირი, ცრემლი მერევა, არავერთმა იქ მყოფმა შეამჩნია, რომ ვტიროდი, ამ დროს ჩემს გონებაში ბაბუაჩემს, აბრაამ-ალიოშას ჩავძახე საფლავში: ბაბუაჩემო, დღეს ვარ მოსკოვის კრემლში, იქ, სადაც სცემდნენ ბრძანებას ებრაელების ხოცვის, ჩაგვრის, ტერორის. უკვე აღარ არის საბჭოთა კავშირი, აქ ჟღერს ისრაელის ჰიმნი, ამათი პრეზიდენტი კი მე თავს მიხრის, ვარ პოლკოვნიკი და წარმოვადგენ ისრაელის სახელმწიფოს!

აი, ესაა ჩემი, კულაშში დაბადებული ბიჭის ისტორია! ამ ისტორიას მალე წიგნად ვაქცევ, რომლის სათაური იქნება: “ეფრაიმ მიხაელი, პოლკოვნიკი, რუსეთში ისრაელის ყოფილი სამხედრო ატაშე, კულაშიდან, საქართველოდან, კრემლისკენ, მოსკოვში ამდიდის გავლით ისრაელში.”

**– თქვენი შვილები კვლავ სამხედრო საქმეს აგრძელებენ?**

– ამჟამად ორივე ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული, ავიმ და ილიკმა თელ-ავივის უნივერსიტეტი დაამთავრეს, ხენიმ კი, ბერიშევის უნივერსიტეტი. მყავს თერთმეტი შვილიშვილი.

**– თქვენი შვილები ახლოს იცნობენ საქართველოს?**

– მიუხედავად იმისა, რომ ოთხი ენა ვიცი, ფულს მაინც ქართულად ვითვლი, როცა ძალიან გახარებული ვარ, კიკაბიძის სიმღერებს ვმღერი, ქორწილებსა და თავყრილობებში ქართველი ებრაელები ქართულ კულტურასა და მენტალიტეტს არ ვკარგავთ, ესაა ქართულ-ებრაული კულტურა, აქ ბევრი სინაგოგაა, მაგრამ გვაქვს ქართველ-ებრაელთა სინაგოგაც. ჩემი შვილები ჩემს დედ-მამას დღესაც ქართულად ესაუბრებიან, ამას წინათ თბილისში “ვეფხისტყაოსანი” მაჩუქეს და ერთი წიგნი სახლში დავიტოვე, ერთი კი დედ-მამას მივუტანე, დედას ძალიან უყვარს ქართული წიგნების კითხვა! მაგრამ ჩემი შვილების თაობა უკვე სხვა თაობაა, ისრაელში დაბადებული და გაზრდილი თაობა და საქართველოსთან ისეთი ახლო ურთიერთობა ვერ ექნება, როგორიც ჩვენ გვაქვს! არ შეიძლება, მათ დაამალო რამე, ძალიან მიყვარს მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, ქართული მუსიკა. 5 წლის წინ, მოულოდნელად, ისე, რომ მეუღლესაც კი არაფერი ვუთხარი, ჩავალაგე ჩემოდანი და თავზე დავადექი სამტრედიაში მეგობარ გია მიქელაძეს საარჩევნო შტაბში, მაჟორიტარულ არჩევნებში მხარდასაჭერად! გია არ მელოდა, სიხარულისგან გული კინაღამ შეუწუხდა! ეს იყო სენსაცია.

**– როგორი საქართველო დატოვეთ და როგორს ისურვებდით?**

– მინდა საქართველო იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი, არ ჰქონდეს მუდამ ვიღაცის იმედი, ადრე რუსეთის იმედზე იყო, ახლა ევროპის იმედი აქვს. საქართველოს ახალ ამბებს ყოველ საღამოს ვეცნობი, არ არის გამართლებული ტენდენცია – შეგინახოს და გაჭამოს



სხვა სახელმწიფომ, საქართველო უნდა გახდეს ტექნოლოგიური აღმოჩენების ქვეყანა, არ უნდა დარჩეთ მხოლოდ სტუმართმოყვარე ქვეყნად, უნდა ჩამოვიდნენ ევროპასა და ამერიკაში განათლებული ახალგაზრდები და გააძლიერონ ქვეყანა! ისრაელის სახელმწიფოს არა აქვს წიაღისეული, ნავთობი, მეტალები, ალმასები, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი წარჩინებული ქვეყანაა, აქვს დიდი ტექნოლოგიური ძალა, ამბიციური აღმოჩენები, 80-დან 100 მილიარდამდე შემოდის წელიწადში სახელმწიფოს აიტი ტექნოლოგიების გაყიდვით. არასწორი ტენდენციაა, რომ ქვეყანა ღვინის და ტურიზმის განვითარებით ისაზრდოებს, ის უნდა გახდეს ტექნოლოგიების ქვეყანა, მაშინ დაბრუნდებიან ახალგაზრდები სამშობლოში. ხომ ხედავთ, ბომბავენ ისრაელს, მაგრამ ახალგაზრდობა არ ტოვებს თავის სამშობლოს. ჩემი, როგორც ექსპერტის რჩევა იქნება, გახდეთ ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად წარჩინებული ქვეყანა, არა სხვა ქვეყნისკენ ხელგაშვერილი, ფაქტია, როგორც თურქეთი არ შეიყვანეს ნატოში, ისე არ შეიყვანენ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში, მარტო ტურიზმს, მანდარინისა და ღვინის გაყიდვას ვერ დაეყრდნობით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოიფიქროს გზა წასული ხალხის დასაბრუნებლად, ამას წინათ, მანქანით გავიარე ერთ დროს ინდუსტრიულ ქალაქ ქუთაისში, არსად კვამლი არ ამოდის, აღარ არის ქარხნები და დიდი ინდუსტრია. ერთი წარმოება არ არის, მარტო მიკროჩიპებით ქვეყანა ვერ იარსებებს! ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ტყუილად არავინ არაფერს მოგცემთ. საბერძნეთსაც თქვენნაირი მენტალიტეტი აქვს, შევიდა ევროკავშირში, გაყიდეს ადგილმამულები ევროპელ და გერმანელ ინვესტორებზე, ყველაფერი შეისყიდა მილიონერმა და როცა ბერძნებს ფული გაუთავდათ, სახელმწიფო დაიქცა, გაბანკროტდა ეს ქვეყანა. არ მინდა ასე გაიყიდოს საქართველო ირანელებზე, ჩინელებსა და ინდოელებზე!

**– ანუ არსებობს საშიშროება საბერძნეთის ბედის გაზიარების?**

– არ მინდა საქართველოში ჩამოვიდნენ სხვა ერის წარმომადგენლები და რაც საბერძნეთს დაემართა, ის დაემართოს საქართველოს! “ალავერდი” და “გაუმარჯოს” არ გადის ვაშინგტონსა და ბერლინში, მოძველდა ეს მენტალიტეტი, დიდ-



ია შავი ზღვის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის პოტენციალი! ქართველს დაბადებიდან ზრდიან, რომ იყოს სუფრაზე ღირსეული თამადა, პრობლემა ისაა, რომ ბევრს უნდა თამადობა და თავის გამოჩენა, ამიტომ, თითქმის ყველა სუფრაზე ჩხუბობენ, ლიდერობა კი მარტო თამადობა არ არის, უნდა გაიზარდოს ახალი თაობა, ეს ახალგაზრდები ლიდერები იქნებიან აღმოჩენებში, გამოგონებებში, ტექნოლოგიებში. მედიცინაში. აი, დაუკვირდით, ებრაელებს ჰყავთ უფრო მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი, ვიდრე ჩინეთს. ეს სენსაციური შედეგი და ფაქტია. საქართველოს საუკეთესო გეოპოლიტიკური მონაცემები აქვს,მაგრამ ვერ იყენებენ ლიდერობისათვის ბრძოლის გამო, პოლიტიკოსები ერთმანეთს უფრო ხელს უშლიან, ვიდრე უწყობენ! ერთმანეთთან ჩხუბი კი არა, ქვეყნის გადარჩენის გზები უნდა ეძიონ ქართველებმა, საქართველო კი გახადონ მსოფლიო მოთამაშე.




ძალიან მიყვარს ჩემი ბავშვობის მეგობრები, ებრაელები და ქართველები, რომლებიც ერთად გავიზარდეთ და მერე დავშორდით ერთმანეთს, მოვიგონებ თანაკლასელებს და მეგობრებს საქართველოდან: გია მიქელაძე, ალიკო კლარჯეიშვილი, რუსიკო კობახიძე, ბადრი აბრამაშვილი, მერაბ კვანტალიანი, ალმასხან შენგელია, ნათელა სტურუა, ელგუჯა კრავეიშვილი, სოსო შენგელია, ავთო ახობაძე, ქოური, ციცინო ახობაძე, ზაირა თადუმაძე, გურამ ერქვანიძე, ალექსანდრე (კუსურია) შენგელია, ეთერ თადუმაძე, რუსუდან გუმუაძე და ნორა კვანტალიანი. ასევე მოვიგონებ ჩემი ბავშვობის ებრაელ მეგობრებს: ისაკ ელაშვილი, აბეშაი ელაშვილი, ისრაელ ბოთერაშვილი, ისრაელ მიხელაშვილი, კაკო მეგრელიშვილი, ბენია მორილაშვილი, მიშიკო ნიკვაშვილი, დავით ნანიკაშვილი, მორდეხ ბოთერაშვილი, იონა ატანელოვი, ისაკ შალელაშვილი, იაკობ ბოთერაშვილი, იუდა მიხელაშვილი, ეფრაიმ ჩლაკიშვილი, ეფრაიმ მორილაშვილი, ილუშა ხუფიაშვილი, იუდა შალელაშვილი, მორდეხაი ხუნდიაშვილი. ზოგი მათგანი ცოცხალი აღარაა, მარადიული ხსოვნა მათ!

მინდა ინტერვიუ გია მიქელაძეზე საუბრით დავასრულო: გია მიქელაძე უნიკალური ადამიანია, არის არა მარტო ჩემი, არამედ მსოფლიოს ებრაელი ერის დიდი მეგობარი და მეცენატი, 1990 წელს, როცა დაინგრა საბჭოთა კავშირი და საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, ყველაფერი ინგრეოდა, იწვებოდა, მისი დამსახურებით და თავდადების წყალობით განადგურებას გადაურჩა ებრაული სინაგოგები. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და ჩვენს მშობლიურ კულაშში, ამ სინაგოგებს ელოდებოდა დარბევა, დაწვა, დანგრევა, მაგრამ გია მიქელაძის პატრიოტობითა და თავდადებით ეს მემორიალები დღესაც დგანან! მათ სჭირდებოდა მოვლა-პატრონობა, რესტავრაცია. ჩვენი განსვენებული თანაკლასელი იყო ისაკ ელაშვილი, რომელიც 1976 წელს კომუნისტებმა მოკლეს ციხეში. მისი შვილები გია, მერაბი და მაკა გადავიდნენ რუსეთში. ამ ბიჭებმა მათ სიძესთან, რომან შამილაშვილთან ერთად ჩამოაყალიბეს ფონდი: “GMR” _ PLANET HOSPITALITI ამ ფონდმა თავის თავზე აიღო დიდი კულაშის ებრაული მემორიალების რესტავრაცია და შენახვა. (სალოცავები, საფლავები, რელიგიის ცენტრის ეზო-გარემო). მათ ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ჩვენმა თანაკლასელმა, მეცენატმა გია მიქელაძემ. ამის შესახებ ამ ფონდის ხელმძღვანელებმა, გია და მერაბ ელაშვილებმა და რომან შამილაშვილმა და მე (2012 წელს ვიყავი ისრაელის პარლამენტის წევრი და ვიყავი ამ მიმართვის ერთ-ერთი ინიციატორი) ვაცნობეთ ისრაელის მთავრობის მეთაურის მოადგილეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ელი იშაის, რომ ებრაელი ერის დიდ მეგობარს, დიდ პატრიოტს გია მიქელაძეს მიენიჭოს მეცენატის და ღირსების უმაღლესი ჯილდო! 2012 წლის 13 ნოემბერს ისრაელის პარლამენტში გაიმართა დიდი ცერემონია, სადაც მოწვეულნი იყვნენ გია მიქელაძე თავისი ოჯახის წევრებით, ქართველი და ებრაელი ერის ლიდერები, გია და მერაბ ელაშვილები და რომა შამილაშვილი. მიიწვიეს და მიანიჭეს უმაღლესი რანგის ჯილდო: ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეობა, პასპორტი და სამუდამო წევრობა ისრაელის მაცხოვრებლის, ეს ყველაფერი ებრაელი ერის უნიკალური და მარადიული მეგობრობის გამო. ამ ფონდის დახმარებით შემოიღობა და მოეწყო კულაშის სასაფლაოს ეზო, სინაგოგა კი კულაშის დიდ მუზეუმად იქცა! ამ ყოველივერისთვის თქვენი გაზეთით კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას “GMR” _ PLANET HOSPITALITI დამფუძნებლებს და გია და ნინო მიქელაძეებს, რომ არა ისინი, ეს სინაგოგა, ებრაელთა საფლავები, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის მემორიალი არ გვექნებოდა!

გია მიქელაძე არის ჯილდო საქართველოსათვის. მისნაირი ბევრი რომ ჰყავდეს საქართველოს, წინ წავიდოდა ქვეყანა, ისრაელში ქართველებს გვყავთ მეგობრები, ისრაელის სახელმწიფო ეხმარება საქართველოს ტექნოლოგიებით, ინვესტიციებით, იმედია, საქართველო მალე გახდება ძლიერი და წარმატებული ქვეყანა ამიერკავკასიაში, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა ის ევროკავშირში.

გაუმარჯოს ისრაელს და საქართველოს!



# ჯემალ ხერხაძის სახელობის თასის პირველი წრე სამტრედიელების გამარჯვებით დასრულდა

ნინო ნანიტაშვილი

ფეხბურთში, ჯემალ ხერხაძის სახელობის თასზე U-10 2012 წელში დაბადებულ ვაჟთა შორის იმერეთის 2022 წლის ღია ჩემპიონატის პირველი წრე სამტრედიის "სამტრედიის" გამარჯვებით დასრულდა. სულ ათი ტური ჩატარდა.

სამტრედიამ პირველ ტურში ქუთაისის "ტორპედო – 2011", ანგარიშით 5:1 დაამარცხა. მეორე ტურში ხაშურის "ივერია-1"-ს 3:7 მოუგო. მესამე ტურში ხაშურის "ივერია-2" 9:0 დაამარცხა. მეოთხე ტურში ქუთაისის "ტორპედო" სამტრედიასთან ანგარიშით 1:5 დამარცხდა. მეხუთე ტურში "სამტრედია" ცაგერის "ხვამლს" შეხვდა და ანგარიშით 10:2 მოიგო. მეექვსე ტურში ზესტაფონის "მარგვეთი-2006"-ს 0:5 ანგარიშით მოუგო. მეშვიდე ტური ვანის "სულორთან" გამართა და მოწინააღმდეგე 4:2 დაამარცხა. მერვე ტურში სამტრედიამ წყალტუბოს "სამგურალს" 1:5 მოუგო. მეცხრე ტურში ქუთაისის "სერვალი" 3:0 ანგარიშით დაამარცხა. მეათე ტურში სამტრედიამ ქუთაისის "მარტვესთან" გამარჯვება, 2:3 იზეიმა. ამდენად, სამტრედიის "სამტრედიამ" ათივე თამაში მოიგო და პირველი წრის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა. გუნდის მწვრთნელმა, ლერი მეგენეიშვილმა ნორჩი ფეხბურთელები ზანდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში წაიყვანა, სადაც აიტანეს ჯვარი და გამარჯვების აღსანიშნავად ეკლესიას შესწირეს. ზანდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, ბერ-მონაზონმა იოაკინ მელქაძემ სამტრედიელი ფეხბურთელები აზიარა და სწორედ იმ ჯვრით დალოცა, ასევე წარმატებული ბიჭები დიდის ლოცვაში მოიხსენია. "სამტრედიის მაცნეს" ამ ინფორმაციით დაუკავშირდა ერთ-ერთი ფეხბურთელის მშობელი, მედეა ხარებავა: "სამტრედიელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. მწვრთნელის, ლერი მეგენეიშვილის დიდი დამსახურებით ათი ღირსეული. წაუგებელი ტური ჩაატარეს და სამტრედია ასახელეს. ძალიან ლამაზი დღე გამოვიდა.ზანდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ულიდესი სულიერი სიმშვიდე და სიამოვნება მივიღეთ. მადლობა ჩვენს წარმატებულ შვილებს და მათ სასახელო მწვრთნელს იმ ბედნიერებისათვის, რაც იმერეთის 2022 წლის ღია ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებით განგვაცდევინეს".



1-ლი წრე

| N | გუნდი | თამაში | მოგება | ფრე | წაგება | ბურთი +, - | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამტრედია | 10 | 10 | 0 | 0 | 56-12 | 30 | 1 |
| 2 | ტორპედო | 10 | 9 | 0 | 1 | 59-12 | 27 | 2 |
| 3 | მარგვეთი 2006 | 10 | 7 | 1 | 2 | 40-23 | 22 | 3 |
| 4 | მარტვე ქუთაისი | 10 | 6 | 0 | 4 | 32-28 | 18 | 4 |
| 5 | სერვალი ქუთაისი | 10 | 5 | 0 | 5 | 25-30 | 15 | 5 |
| 6 | სამგურალი | 10 | 3 | 1 | 6 | 20-31 | 10 | 6 |
| 7 | ივერია 2 ხაშური | 10 | 3 | 1 | 6 | 18-39 | 10 | 7 |
| 8 | სულორი ვანი | 10 | 3 | 0 | 7 | 27-34 | 9 | 8 |
| 9 | ივერია 1 ხაშური | 10 | 2 | 2 | 6 | 20-38 | 8 | 9 |
| 10 | ხვამლი ცაგერი | 9 | 2 | 1 | 6 | 15-34 | 7 | 10 |
| 11 | ტორპედო 2011 | 9 | 0 | 2 | 7 | 11-42 | 2 | 11 |

## მარიამ თევზაძემ ჩემპიონობა ორი ტურით ადრე მოიპოვა



დასრულდა ფოთის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელიც სხვადასხვა რანგისა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. 9 ტურში მონაწილეობდა წარმომობით სამტრედიელი მარიამ თევზაძე, რომელმაც ორი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა და ქალთა შორის ნომინაციაში პირველი ადგილი დაიკავა.

"ჩემი მიზანი იყო, მამაკაცთა შორის მიმეღწია საუკეთესო შედეგისთვის, მაგრამ, ვინაიდან რამდენიმე წელია, არ მითამაშია, ქალთა შორის ნომინაციაში პირველი ადგილი იყო ჩემთვის კარგი შედეგი". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა მარიამ თევზაძემ.

ნინო ნანიტაშვილი

## ბათუმში "სამტრედიამ" სამტრედია ასახელა

სამტრედიის "სამტრედია" U 12-მა მთავარი მწვრთნელი ოთარ ზაქარეიშვილი და ლერი მეგენეიშვილი,მეკარეების მწვრთნელი ილია გიორგაძე, ბათუმში გამართულ ტურნირზე წარმატება მოიპოვა. სამტრედიელი ნორჩი ფეხბურთელები ბათუმის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელის, გია ჩედანიას ხსოვნის ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. 6-დან 12 ივლისის ჩათვლით ბათუმში საასპარეზოდ 12 წლიანთა გუნდები მთელი საქართველოდან ჩავიდნენ, ტურნირზე ჯამში 14-მა გუნდმა იასპარეზა, თამაშები ბათუმის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა, სამტრედიის U 12-მა წარმატება საკმაოდ ძაბულ და კონკურენტუნარიან გარემოში მოიპოვა. ჯგუფური სისტემით გამართულ, ტურნირზე სამტრედიელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა პირველი ეტაპის თამაშებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს, ნახევარფინალში სამტრედიის U 12-მა უძლიერესი მეტოქე, გლდანის "აკადემია" დაამარცხა, რომელიც გათამაშების ფავორიტად იყო მიჩნეული. რაც შეეხება ფინალურ დაპირისპირებას, სამტრედიის U 12-ის და მარტვილის აკადემიის დაპირისპირება სამტრედიელთა სრული უპირატესობით წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ნორჩმა ფეხბურთელებმა ბევრი კარგი საგოლე მომენტი შექმნეს მატჩის პირველ ნახევარში, ანგარიშის გახსნა ვერ მოხერხდა და შესაბამისად პირველი ტაიმი ფრედ, ნულით ნული დასრულდა. მეორე ტაიმში სამტრედიელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა სადავეები ხელში აიღეს და მეტოქე დიდი უპირატესობით 3:0 დაამარცხეს. ფინალურ დაპირისპირებაზე დუბლი ნიკოლოზ ჩომახიძემ შეასრულა, ერთი გოლი კი გაბრიელ ქართსანიძემ გაიტანეს. სამტრედიელი ნორჩი ფეხბურთელები აჭარის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა და ტურნირის ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს. ჩემპიონებს, სამტრედიის სამტრედია U 12-ს თასი, სიგელები და მედლები გადაეცათ. დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მცველი დათა ელიავა, საუკეთესო ნახევარმცველი ალექსი ცხვარაძე, საუკეთესო ფეხბურთელი ნიკოლოზ ჩომახიძე. სამტრედიის "სამტრედია" U 12-ის საგულშემატკივროდ ბათუმში იმყოფებოდნენ მშობლები და ოჯახის წევრები, რომელებმაც ნორჩი ფეხბურთელების მორიგი წარმატებით კიდევ ერთხელ გაიხარეს.

U 12-თან ერთად მწვრთნელები ოთარ ზაქარეიშვილი და ლერი მეგენეიშვილი 2008-დან 2017 წლის ჩათვლით სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ჯგუფებს ავარჯიშებენ. წვრთნას ჯამში 9 ასაკობრივი ჯგუფი გადის, რომლებიც სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებებს აღწევენ და სამტრედიაში მუდამ გამარჯვებულები ბრუნდებიან.

ნინო ნანიტაშვილი



# ხსოვნა

## რომან ბექაია



ძნელია მოსაგონარი დაწერო ადამიანზე, რომელიც სამსახურში მისულთ დილას გვეღიმებოდა, ხალისით, იუმორით გვეგებებოდა და... ერთი სიტყვით, მეგობრობაც იცოდა, საჭიროების შემთხვევაში გვერდში დგომაც და სიძნელეებსაც არ გაურბოდა.

უფროს კოლეგასა და მეგობარზე, ჯერ "წინსვლის" შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას შესახებ მოგახსენებთ.

1969 წლიდან თითქმის ნახევარი საუკუნე იღვაწა რედაქციაში და საკუთარი ხელწერა დატოვა მშობლიური ქალაქისა და თავისთავად გაზეთის ისტორიაში. ათასობით უნიკალური ფოტო, კიდევ მეტი ფოტოფირი ინახება მის მიერ წლობით შექმნილ ფოტოარქივში, რომელსაც დღეს ნამდვილად სჭირდება მეტად მზრუნველი ხელი. რედაქციის პარალელურად რომან ბექაიამ ჯერ ქალაქის №1 საჯარო, ხოლო შემდეგ №3 საჯარო სკოლაში იმსახურა პედაგოგად.

ყოველთვის ფუსფუსი იყო რედაქციაში იმ ოთახში, სადაც რომანის კაბინეტი გახლდათ. ახალგაზრდა კოლეგებს, დაინტერესებულთ სწორედ მან შეასწავლა ფოტოების გამჟღავნება რედაქციის ფოტოლაბორატორიაში.

განუყრელი ფოტოაპარატით დარბა თუ ავდარში, ქარში, სიცხეში, წვიმაში რომანი მშობლიურ სამტრედიის ნებისმიერ კუთხეს სტუმრობდა. მოწინავე მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები ხვდებოდნენ მის მიერ გადაღებულ, დღეს ისტორიად ქცეულ კადრში.

საათობით ელოდა ქუთაისში "სამტრედიის მაცნეს" ახალი ნომრის დაბადებას სტამბაში, მოწყურებული, ზუსტად გზისთვის გამოზომილი თანხითა და დიდი პასუხისმგებლობით, გაზეთისადმი დიდი სიყვარულით. არაა ეს ამბავი გამოგონილი, ჯერ კიდევ ცოცხლობენ ამის მომსწრენი.

როგორც მისი თაობის ადამიანები, ისე ბატონი რომანიც იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც მხოლოდ იმას კი არ ფიქრობდნენ რა მიეღოთ სამსახურიდან, არამედ რა მიეცათ სამსახურისათვის, საზოგადოებისათვის. მთელმა სამტრედიამ ზეიმად აღიქვა მისი 75 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც ხელოვანთა დარბაზში გაიმართა 2013 წელს.

სამტრედიის საპატიო მოქალაქის წოდებაც ყოველმხრივ დამსახურებულად მიენიჭა შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ (ბატონი ემზარ შუბლაძე გახლდათ საკრებულოს თავმჯდომარე მაშინ).

2021 წელი... კოვიდ პანდემიამ იმსხვერპლა ჩვენი რომანი.

სამტრედიის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს იგი ღირსეულ სამტრედიელთა შორის.

წელი სრულდება ამ დღეებში ჩვენი უფროსი კოლეგისა და მეგობრის, ჩვენი დაუვიწყარი რომან ბექაიას გარდაცვალებიდან.

ნათელში მისი სული!

ლევან ბაბუჩავა

---



მერაბ არჩვაძე ოჯახით გულისტკივილს გამოხატავს ბატონი

ოთარი (ქიბული) თევზაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოხატავს ტელერადიოპროექტკომპანია "ზარის" დამფუძნებლისა და დირექტორის

ოთარ თევზაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

---

საზოგადოება "სამტრედიელი" მწუხარებით იუწყება

ოთარ თევზაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

---

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა მწუხარებას გამოხატავს

ოთარ თევზაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ბექან გოგია თანაუგრძნობს თევზაძეების ოჯახს

ოთარ (ქიბული) თევზაძის

გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ხორგაძე თანაუგრძნობს თევზაძეების ოჯახს

ოთარ თევზაძის

გარდაცვალების გამო.

---

მზევინარ და გულო ბოხუები ოჯახებით თანაუგრძნობენ მარინა თელიას და მის ოჯახს

ოთარ (ქიბული) თევზაძის

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი ვაშაკიძე და ნინო ნანიტაშვილი ოჯახით დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და მის ოჯახს

ოთარ (ქიბული) თევზაძის

გარდაცვალების გამო.

---

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ სტურუების ოჯახს

ჯამბული სტურუას

გარდაცვალების გამო.

---

მიოდრაგ დრაჟა მილანოვიჩი

# მცხუნვარე მზე

მზე ისე ძლიერ აცხუნებდა თითქოს ცას და დედამიწას გადაწვას უპირებდა. სიმინდი კი თავისას მოითხოვდა – გასათოხნი იყო. კალიებმა, ხოჭოებმა, მღრღნელებმა და სხვადასხვა ჯურის მცოცავმა თუ მხოხავმა არსებებმა ერთმანეთს შორის ადრე დილიდან დაწყებული ჩხუბი და კინკლაობა მოითავეს და სიცხისაგან გათანგულებმა მიწის სიგრილეს შეაფარეს თავი. ყანები და მინდვრები კი საასპარეზოდ ადამიანებს "დაუთმეს".

ჩვენი ოჯახის ყანა სასაფლაოსთან ცოტა ზემოთ მდებარეობდა. გრძელი ყანა იყო, ვიწრო რიგებით. ცხელი, მაგრამ მშვიდი და წყნარი ადგილი იყო. ჰაერში ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქოს სამყაროს დასასრული დამდგარი.

მე ყანის თავში, თუთის ხის ძირში მოვკალათდი და ყურადღებით ახლოს, აკაციების ეკლიანი ბუჩქისკენ მქონდა მიპყრობილი რაიმე ცოცხალი ხმის გაგონების, საინტერესოს დანახვის იმედით, თუმცა უშედეგოდ – ყური მხოლოდ ლითონის ქვაზე დარტყმის მჭახე ხმას, ან ყურს დარტყმით გაჭედილი ბელტის ბუყუნს ისმენდა. ამ ხმებს ჩემი მშობლების თოხები გამოსცემდნენ, რომლითაც ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ კვალში ნაბდგარი ყანას თოხნიდნენ.

დედა წინ მიდიოდა და ყოველთვის ორ კვალს "ერეკებოდა", მამა კი ერთ კვალს მიჰყვებოდა და მაინც ჩამორჩებოდა დედას.

– დაუჩქარე, მეთი, დაუჩქარე და მიწაც კარგად შემოუყარე! – ყოველდღიური გაფრთხილებით შემოუძახებდა დედაჩემი მამას. მამა, ალბათ, რაღაცას პასუხობდა, მაგრამ ეტყობა ხმადაბლა და ბუზღუნით, რაც ჩემამდე ვერ აღწევდა.

"ჩემი მშობლების ბუზღუნის მეტი არაფერის ისმის" – გავიფიქრე ჩემთვის.

– შვეტუხა! – როგორც იქნა გაისმა მამაჩემის ხმა. – წყალი მომიტანე!

მივურბენინე. წყალი შარდივით გამთბარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მამამ ქვევრული დოლბანდით ბადეში მიწაში ჩადგა და ზედაც მიწა მოაყარა. რამდენიმე ყლუპი ისე სწრაფად ჩაისხა გაღებულ პირში, რომ ხორხი არც შეუხებია. ბოლო ყლუპი კი ამოაბრუნა და სიმინდის ღეროს მიაფურთხა. ღერო შეტორტმანდა თითქმის გაბრაზდა: "ნუ მასხამ ცხელ წყალს, დავიწვები".

– მეც დავიწვები! – თქვა მამამ და ხელით ერთად დაბრუნდა თუთის ხესთან. გადამალულ არაყს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა. ხელჩართულ გამოცანა და მკითხა, მე ხომ არ შემიმალავს ან დამილევია.

– არც ერთი და არც მეორე. – ვუპასუხე.

– აბა, სად წავიდა?

– არ ვიცი, იქნებ დედამ იცოდეს.

დაუძახა დედას და ჰკითხა არაყის შესახებ. დედას პასუხი არ გაუცია. – გესმის რას გეკითხები? – გაუმეორა შეკითხვა. დედას არც ახლა ამოუღია ხმა.

ამ დროს სასაფლაოდან ქალის ტირილის ხმა მოისმა. "ვაიმე, მამიკო, მამიკო... ვაიმე" – მოთქვამდა ვიღაც.



მეზობელი ყანიდან სასაფლაოზე გამოსული ქალი დასტიროდა საფლავს, რომელშიც რამდენიმე დღის წინ მამამისი დაკრძალეს.

მამამ ჯიბიდან სანახევროდ დამწვარი თამბაქოს ამოიღო, რომელიც ადრე მამამისისთვის ჰქონდა დანახული. დაანთო მხოლოდ ერთი სანთელი და სასაფლაოსკენ გასწია.

– მამიკო, სად მიდიხარ? რა მოხდა?

– არაფერი, მიცვალებულს სანთელს აუნთებ და მოვალ. "ვაიმე, მამიკო! მამიკო!" – ისევ ისმოდა ქვითინი სასაფლაოდან.

მამა სასაფლაოდან მალე დაბრუნდა, იგი ხელი ნაბიჯით მიდიოდა საფლავების შორის და ერთი თავით ძველზე მაღალი ჩანდა. გავიფიქრე "მის ადგილზე დედა რომ იყოს, ალბათ, ვერც გამოჩნდებოდა, რადგან მაღალი ღმერთმა და საფლავის ჯვარზე ბევრად მაღალი არ იქნებოდა".

მამა მოვიდა, ხელში თიხის დოქი ეჭირა.

– მიდი. ცოტა გადაჰკარი. – მითხრა მე.

მოვსვი. ორინახადი არაყი იყო. მაგარი და ცივი. ცოტა კიდევ მოვსვი, მერე მამამ, მერე ისევ და გამოვწრუპეთ დოქი.

მამამ გემრიელად გაიზმორა და თქვა: "ოჰ, რა მაგარია ახლა ერთი კაი წვიმა!"

– რა წვიმა, კაცო, გაგიჟდი? ახლავე ადექი და ყანაში შედი, მთელი დღე ორი კვალიც არ გაგითოხნია, ზარმაცო! – უთხრა დედამ.

– ჰო, კარგი, ნუ ბრაზობ. მაგრამ იქნებ ჯერ გვეჭამა რამე. – შეეპასუხა მამა.

– იწვიმებს, – ვუთხარი დედას – და დროულად იქნება. მიწა გამშრალია.

– შვეტუხა, შენც დათვერი შვილო?

– ეს რა შუაშია! იწვიმებს და რა ექნა!

– ოჰ, როგორ არა, შენ და მამაშენი გააწვიმებთ, რა თქმა უნდა! – დაგვცინა დედამ.

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სვეტიხაიცის მთის მხრიდან ცაში ყრუ გრუხუნი გაისმა.

– ღმერთო, – პირჯვარი გადაიწერა დედამ. – გრუხუნი მოწმენდილ ცაზე?!

– იცის ჩემმა ბიჭმა, ყველაფერი იცის! – თქვა მამამ, – ტყუილად კი არ დადის სკოლაში!

სადღაც ჩვენს უკან მეხი გავარდა.

– ქოხისკენ გავიქცეთ! – თქვა მამამ.

ხეების ქოხამდე, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონზე მოსასვენებლად, ან უამინდობაში თავის შესაფარებლად ვიყენებდით, ნახევარ კილომეტრამდე მანძილი იქნებოდა. შუა გზასაც არ ვიყავით მისული, რომ ერთბაშად ისეთი თავსხმა წვიმა წამოვიდა, თითქოს ზეცამ პირი გახსნა და წყლის მთელი მარაგი ერთად გადმოღვარა დედამიწაზე.

– დოქი ყანაში დაგრჩა, მეთი. – მკვახე ტონით უთხრა დედამ მამას, როცა ერთიანად გაწუწულებმა, როგორც იქნა თავი ქოხს შევაფარეთ.

– ვიცი, ვიცი, წვიმა გადაიღებს და მოვიტან. – უპასუხა მამამ.

წვიმამ მალე შეწყვიტა და მამა დოქისთვის ყანაში დაბრუნდა. მისვლა საჭიროდ შეეცადა. დედა წავიდა მოსაკითხავად და მიაგნო თუთის ხის ძირში. ოღონდ მამა მარტო არ იყო!!!

ატყდა აურზაური. მამა დედას ფიცულობდა, მაგრამ, დედის წყევლით, დედამისაც გამოიღო ხელი და ის თიხის დოქი თავზე გადაამტვრია მამას.

რამდენიმე დღის შემდეგ "ვაიმე, მამიკო, მამიკოს" ბუქსბაც იწყნია ყვედრების ხელჩართული სიმწარე.

დედას ერთი თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

მამა ყოველ ხუთშაბათს ხელდამშვენებული აკითხავდა პატიმარს საპყრობილეში.

სერბულიდან თარგმნა
ილიკო კორკელია

## ლაშა დლონტი სამტრედიელთა წინაშე წარსდგა



სამტრედიას უკვე მეორედ ეწვია ყველასათვის საყვარელი მომღერალი, ლაშა დლონტი. კონცერტი ვრონა მანჯგალაძის კულტურის ცენტრში გაიმართა. დარბაზი კიდევ ხალხით იყო გადავსებული და ოვაციები არ ცხრებოდა. მომღერლის თქმით, როცა მას უკრავენ ტაშს, ეს ნიშნავს, რომ ტაშს უკრავენ ქართულ სიმღერას. ეს ფენომენი კი, პროფესიით ქირურგ, ლაშა დლონტში ისე ძლიერად გააცოცხლა კომპოზიტორმა დავით არსენიშვილმა, ბატონმა ლაშამ ექიმობას მომღერლის ამპლუა ამჯობინა!

ამჯერად მომღერლის რეპერტუარში მრავლად იყო დავით არსენაძის სიმღერები, თუმცა აგრეთვე დიდი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებიც ჟღერდა, მომღერალი თავადვე იყო საღამოს წამყვანი და იუმორსაც კი მოიხმობდა ამა თუ იმ ნომრის წარდგენისას. რადგან ამჟამად მასთან ერთად არ იმყოფებოდა შეხამხმადი მსახიობი მერაბ ჯანორია, მაინც გადმოეცა მისი საწყისი ხმით და მათი შემოქმედებითი ტანდემიც შედგა. განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მომღერალმა მამუკა ნარკვიანზე ისაუბრა.

კონცერტს ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კონცერტი გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

ნათია ნაცვლიშვილი

## ჩვენო სოფიკო!

ტერელაძეთა გვარის, სამტრედიისა და სრულიად საქართველოს სიამაყეს, გულითადად, დიდი სიყვარულით გილოცავთ ვეტერან მოჭადრაკე ქალთა შორის ევროპის ჩემპიონობას. ვულოცავ შენს დედიკოს, ქალბატონ ნათელას, შვილებსა და შვილიშვილებს.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ლამაზ, ბედნიერ დღეს ვერ მოესწრო ჩვენი ქალაქის კოლორიტი პიროვნება, ჭადრაკში შენი პირველი "ანისა და ბანის" მასწავლებელი, მამათქვენი ბატონი ვაჟა.

ბოლოს და ბოლოს, "სამართალმა პური ჭამა".

გულვალწირდები და ამ რამდენიმე ათეული წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ, როცა მე, 40 წლის ასაკში მყოფმა, შენ, 6 წლის დამწყებ მოჭადრაკეს, პარტია მოგიგე. მახსოვს, წაგების გამო ისეთი ინტელექტუალური როგორც მეხვეწებოდი, მეორე პარტიაც გვეთამაშა. არ გადაგაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ შენმა დაუოკებელმა თხოვნამ, მარცხისადმი შეურიგებლობამ და შეუპოვრობამ შენს მომავალ დიდ წარმატებებში იმდენად დამარწმუნა, რომ თამაშზე უარი გითხარი: "სოფო, ტყუილად მეხვეწები, მე მინდა, რომ ევროპისა და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან დადებითი ბალანსი შევინარჩუნო". გჯეროდეთ, რომ ჩემი წინათგრძნობა ჯერჯერობით ნაწილობრივ შემისრულდა. წინ მსოფლიო ჩემპიონატი გველოდება. ეჭვი არ მეპარება, რომ ერთხელ კიდევ გაგვახარებ და მე, სიამაყით და ტრაბახით შევძლებ, რომ ქალთა შორის ჭადრაკში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრაში დადებით ბალანსს ვინარჩუნებ.

უფალმა გვისმინოს!

პატივისცემით ბორის ფოცხვერაშვილი

### სოფიკო ტერელაძეს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებისთვის

ცეროდენა გვალოცებდა,
ხულ პაწია რომ იყო,
ჩვენი სიამაყეო –
ტერელაძე სოფიკო.
უცებ გაირბინეს წლებმა
ყმაწვილქალი რომ იყო,
ისევ, ისევ წარმატება,
კვლავაც ყოჩაღ, სოფიკო.
ორმოცდაათს პლიუს ერთი
არ ისვენებს გენიო,
ახლა ევროპა ულოცავს
ხენიორა სოფიკოს.
სიამაყევ ჩვენ ქართველთა,
ტერელაძეთ გენისო,
მსოფლიოსაც მოგილოცავთ
ხენიორა სოფიკო!

ლევან გაბეჩავა

### ჩემს ძვირფას მეგობარს თამარ (დუდუხანა) ნიკოლეიშვილს!

ჩემო დუდუხანა! კეთილშობილებით და შინაგანი კულტურით გამორჩეული მეგობარო, ღირსეულო დედავ და ბებიავ!

გულით გილოცავ დაბადების დღეს. ღირსეულ შთამომავლობასთან ერთად გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს!

სიყვარულით, დაუვიწყარი მოგონებებით და საუკეთესო სურვილებით
ნათელა გელეიშვილი

### გოგა ვაშაკიძეს!



დაბადების დღეს გილოცავთ, გოგა!

ბევრი ლამაზი დღე გაგეთენებოდეს. შენი მიზნები რეალობად გექცეოდეს. არ მოგაკლდეს ღვთის წყალობა. მრავალს დაესწარი!

"სამტრედიის მაცნე"



### ზალიკო კვანტალიანს!

ჩემო ოქროს ბიჭო, უდიდესი სიყვარულით გილოცავ იუბილეს. შენი კარგი მომავლით სულ გახარებული გვყოლოდეს შენი მოსიყვარულე და ერთგული ადამიანები. გვიყვარხარ, გვეამაყები და გვეიმედები. ჩემო ზალიკო კვანტალიანო.

ფისო ბებო




მარინას და ალიკოს ვულოცავთ ქორწინების 50-ე წლისთავს!




რუსუდან კახიანს ვულოცავთ დაბადების დღეს!

### ვულოცავთ!



2022 წლის 25 ივლისს, ახალი საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის, ნიკოლოზ კოპალეიშვილის დისერტაციის საჯარო დაცვა თემაზე "ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიური ანთროპოლოგია" (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თენგიზ ირემაძე).

დისერტაციამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით ნიკოლოზ კოპალეიშვილს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ვულოცავთ ნიკოლოზ კოპალეიშვილს ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებას.

ნინო ხანიტაშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

| | |
|---|---|
| დირექტორი | ბექან გობია |
| მთავარი რედაქტორი | ქეთევან ჯელიძე |
| გამომშვები რედაქტორი | თეა ბაბუნაშვილი |
| პასუხისმგებელი მდივანი | ლევან გაბეჩავა |
| კომპიუტერული გრაფიკა | მაკა პაკაცა |